გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

ვერსია

№81 (837) 19 ივლისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მხოლოდ 40 თეთრი

კრიმინალურ გარჩევებს, „საბას" შემდეგ, „აკვაპარკიც" შეეწირა?

ვინ არის ობიექტის მფლობელი და როგორ აშანტაჟებდა მას ზურაბ ადეიშვილი?

„ხანძარი რომ არ გაჩენილიყო, ობიექტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას ვაპირებდით"

გვ. 9

რეპორტაჟი გადამწვარი აკვაპარკიდან

„გუნდთან ბევრად კრიტიკული უნდა ვყოფილიყავი!"

დავით ბაქრაძე მკვეთრ განცხადებას აკეთებს და მზადაა, ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს

გვ. 3

გვ. 4

სოზარ სუბარი: „გამონაკლისს ვერავისთვის დავუშვებთ"

„ჩემო ზაქრო, შენ რაც გაიფიქრე, მე უკვე დიდი ხნის ნაფიქრი მაქვს..."

ლევან ვეფხვაძე „პალიკო კუბლაშვილის კლონის" ზაქარია ქუცნაშვილის ბრალდებებს პასუხობს და „ვერსიას" არასაპარლამენტო ოპოზიციის ოთხპუნქტიან გეგმას უმხელს!

გვ. 6

ლიტერატურული პრემია „საბას" ფინალისტები გამოცხადდა

თიბისი ბანკი TBC BANK

ჟიურიმ 265 წიგნიდან 60 ფინალისტი დაასახელა

გვ. 5

„პარლამენტის წარუმატებლობის მიზეზი მისი შემადგენლობაა"



რატომ მოითხოვს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას ალექსანდრე შალამბერიძე

გვ. 8

ლიბერთი ბანკის PAY ექსპრესი EXPRESS ლიბერთი ბანკისგან -ის სიახლეები

გვ. 16

„ერთად ძლიერები ვართ" — ფონდი „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ" დაფუძნდა

ბიზნესმენების დახმარებით, ყველა ტიპის ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტირება დაფინანსდება!

გვ. 7

„სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ვალდებულია, ქართული ენა იცოდეს!"

რას მოიცავს ახალი კანონპროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ" და აპირებს თუ არა ხელისუფლება ენის სახელმწიფო პალატის აღდგენას?

გვ. 10

უწყებათაშორისი კომისიის იუსტიციის სამინისტროში გადასვლის პროცედურებს პარლამენტი განსაზღვრავს

უწყებათაშორისი კომისიის იუსტიციის სამინისტროში გადასვლის პროცედურებს პარლამენტი განსაზღვრავს, — ამის შესახებ ინფორმაციას იუსტიციის მინისტრის მოადგილე სანდრო ბარამიძე ავრცელებს.

მისი თქმით, უწყებათაშორისი კომისია მართლაც გადადის იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში და კონკრეტულ წესებს პარლამენტი განსაზღვრავს: **„რასაც დაადგენს პარლამენტი, იუსტიციის სამინისტროც იმას შეასრულებს“.**

სპეციალურად არჩევნების წინ შექმნილი უწყებათაშორისი კომისია უშიშროების საბჭოს მართვის სივრციდან გადის. აღნიშნული უწყება იუსტიციის სამინისტროს ფარგლებში ამოქმედდება. ამ მიმართულებით საარჩევნო კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები საზოგადოებას 17 ივლისს, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა, ზაქარია ქუცნაშვილმა გააცნო. **„უწყებათაშორის კომისიას იუსტიციის სამინისტრო უხელმძღვანელებს. ეროვნული უშიშროების საბჭოს სხვა ბევრი მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნია და არჩევნებში ის არ უნდა ერეოდეს“,** — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

გურამ გირგვლიანი: „მირჩევნია, გამოძიება საპრეზიდენტო არჩევნებამდე გაგრძელდეს“

„სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაიკითხა სასულიერო პირი, რომელიც იმ ციხის ყოფილი დირექტორია, სადაც გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულები სასჯელს იხდიდნენ“, — აცხადებს სანდრო გირგვლიანის მამა, გურამ გირგვლიანი.

მისი თქმით, მიმდინარე გამოძიების ფარგლებში დაკითხულები არიან ციხის სხვა თანამშრომლებიც, რომლებიც სასჯელაღსრულების ავჭალის დაწესებულებაში მუშაობდნენ იმ პერიოდში, როდესაც გირგვლიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულები პრივილეგიებით სარგებლობდნენ. გურამ გირგვლიანი გამოძიების მიმდინარეობისას გამოკვეთილ ახალ დეტალებს არ ახმაურებს, თუმცა აცხადებს, რომ ძალიან ბევრი ახალი გარემოება გამოიკვეთა და გამოჩნდა ბევრი პირი, რომელიც სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიებას ჩვენებას აძლევს: **„გამოჩნდა ძალიან ბევრი ახალი გარემოება და გამოჩნდა ბევრი პიროვნება. მათი დაკითხვა მიმდინარეობს. მათ შორის, დაკითხულია ციხის უფროსი, ვინც იმ პერიოდში ციხეს ხელმძღვანელობდა. ესაა სასულიერო პირი, ასევე დაკითხულია ყველა თანამშრომელი. მათი ნაწილი ამჟამადაც მუშაობს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში“.**

გირგვლიანი იმასაც აცხადებს, რომ გამოძიებასთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გააჩნია: **„ამ საქმეს იძიებს კეთილსინდისიერი გამომძიებელი და შეიძლება მადლობაც კი ვუთხრა მას, რომ გულით მიუდგა ამ ყველაფერს. მესმის, საზოგადოება ძალიან მომთხოვნია, თუმცა მირჩევნია, გამოძიება გაგრძელდეს საპრეზიდენტო არჩევნებამდე, იქიდან გამომდინარე, რომ ყოფილ ხელისუფლებას ჯერ კიდევ ბევრი ბერკეტი აქვს, რათა პასუხისმგებლობა ააცილოს დამნაშავე პირებს“.**

„ინტერპრესნიუსი“

ბიძინა ივანიშვილი: „ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს ისტორიაში სანიმუშო იქნება“

ეს განცხადება ბიძინა ივანიშვილმა ვილნიუსში, ლიტველ კოლეგა ალგიდას ბუტკევიჩიუსთან ერთად გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ვილნიუსში, 27 ნოემბერს, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტის ფარგლებში, იგეგმება ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება: **„ესაა ჩვენი ძირითადი მიზანი და ჩვენი აზრით, ეს მიღწევადია. ოქტომბრის არჩევნები, რა თქმა უნდა, ამაზე გავლენას მოახდენს. გარწმუნებთ თქვენც, ჩემი კოლეგაც დავარწმუნე და ფართო შეხვედრაზეც გავუსვით ხაზი, რომ ოქტომბრის არჩევნები საქართველოს ისტორიაში სანიმუშო იქნება. ჩვენ მოვახერხებთ და, პირველად საქართველოს ისტორიაში, სახელმწიფო რესურსები არ იქნება გამოყენებული რომელიმე ერთი კანდიდატურის სასარგებლოდ. საერთოდ ვფიქრობთ, რომ ყველაზე ტიპიური, ევროპული არჩევნები ჩატარდება ოქტომბერში და ეს ხელს შეუწყობს ჩვენი შეთანხმების ხელმოწერას და შეიძლება, მეტიც მივიღოთ არჩევნებიდან გამომდინარე“.**

თავის მხრივ, ლიტვის პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოში დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიულ გარემოში ჩაივლის და იქნებიან ევროპელი დამკვირვებლები: „იმედს ვიტოვებთ, რომ პრობლემები არ შეიქმნება და ეს მართლაც, გამჭვირვალე არჩევნები იქნება“.

„ინტერპრესნიუსი“

შსს-მ განსაკუთრებით დიდი ოდენობით „მარიხუანა“ ამოიღო

შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნარკოდანაშაულისა და ქურდობისთვის ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული მელენტი დ. ნარკოდანაშაულისთვის მარტვილის რაიონის სოფელ ონოლიაში დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულს საკუთარი საცხოვრებელი სახლის მახლობლად, უკანონოდ მითვისებულ მიწის ნაკვეთში კულტივირებული ჰქონდა 116 ძირი კანაფი. ექსპერტიზის დასკვნით ამოღებულია 85 კილო და 250 გრ ნედლი „მარიხუანა“.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 265-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც 6-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

„ვერსიანიუსი“

სატრანზიტო გადამზიდავებს ე.წ. ტაქოგრაფებით აღჭურვა მოუწევთ

სატრანზიტო გადამზიდავებს სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მოწყობილობით — ე.წ. ტაქოგრაფებით აღჭურვა მოუწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტაქოგრაფის არქონა მათ ადმინისტრაციულ დარღვევად ჩაეთვლებათ და დაჯარიმდებიან. საუბარია ტექნიკურ საშუალებაზე, რომელიც აფიქსირებს, რამდენი კილომეტრი გაიარა მანქანამ, რა დროის განმავლობაში მოძრაობდა ის და დროის რა ინტერვალი ჰქონდა მძღოლს შესვენებისთვის.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის, ლევან იზორიას განმარტებით, იმის გამო, რომ დღეს ასეთი კონტროლი არ ხორციელდება, ხშირ შემთხვევაში, სატრანზიტო გადაზიდვების განმახორციელებელი მძღოლები სხვა მძღოლებისთვის საფრთხეს ქმნიან: **„ესაა საერთაშორისო მოთხოვნა, რომლის არგანხორციელების შემთხვევაში, საქართველოში დარეგისტრირებული გადამზიდავი ავტოსატრანსპორტო საშუალება ევროპის ქვეყნებში ვეღარ იმოძრავებს. ასეთი ვალდებულება მთავრობამ განკარგულებით, მარტში აიღო და წლის ბოლომდე უნდა შევასრულოთ. საქართველო ტრანზიტული ქვეყანაა. გაედინება სხვადასხვა ქვეყნიდან შემოსული ტვირთი. ტვირთი გააქვთ ქართულ კომპანიებს. სატრანზიტო ავტომობილების ტაქოგრაფებით აღჭურვა ნიშნავს იმას, რომ ერთი — კომპანიამ უნდა იზრუნოს, რომ მათ ავტოსატრანსპორტო საშუალებას ასეთი ტექნიკური საშუალება ჰქონდეს და მეორე, თითოეული პატრული უნდა აღიჭურვოს ტექნიკური საშუალებით, რომლის მეშვეობით მონაცემებს ტაქოგრაფებში წაიკითხავს“.**

რაც შეეხება აღნიშნული წესის დარღვევისთვის გათვალისწინებულ სანქციებს, იზორიას თქმით, მძღოლებისთვის ჯარიმა იქნება 500 ლარი. მისივე ცნობით, ეკონომიკის სამინისტროს ექნება უფლებამოსილება, დააჯარიმოს კომპანია, ვისაც ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება ეკუთვნის. ეს ჯარიმა კი 5000 ლარის ოდენობით განისაზღვრება. ამ მიმართულებით „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ შესატანი ცვლილებები პარლამენტში უკვე ინიცირებულია.

„ინტერპრესნიუსი“

„გუნდთან ბევრად კრიტიკული უნდა ვყოფილიყავი!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ნაციონალური მოძრაობის პრაიმერი საქართველოს რეგიონებში დავით ბაქრაძის დამაჯერებელი ლიდერობით გრძელდება. ჩანს, ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი სწორედ ბაქრაძე იქნება. პარალელურად, იგი NDI-ის ბოლო გამოკითხვების მიხედვით, ყველაზე პოპულარული ოპოზიციური ლიდერი და ოცნება-ნაციონალებს შორის აშკარა კომუნიკატორიცაა. რა მტკივნეული პროცესები მიდის პარტიაში, რატომ დამთავრდა ნაციონალური მოძრაობა და რაში ადანაშაულებს საკუთარ თავს პარლამენტის ექსთავმჯდომარე? — „ვერსიას“ დავით ბაქრაძე ესაუბრება.

დავით ბაქრაძე მკვეთრ განცხადებას აკეთებს და მზადაა, ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს

— რატომ ხარჯავთ დროსა და ფინანსებს, ბოლოს ნაციონალების საპრეზიდენტო კანდიდატი ხომ მაინც თქვენ იქნებით?

— გუნდის შიგნით შეჯიბრი და გამარჯვებულის გამოვლენა პრაიმერის პროცესია, მაგრამ ყველაზე კარგი ამ პროცესში ისაა, რომ საზოგადოება ჩვენგან დებატებსა და განსხვავებულ პოზიციებს მოისმენს. არიან კანდიდატები, ვისაც უფრო მკაცრი და უკომპრომისო მიდგომა აქვს, გვყავს შერიგებასა და გაერთიანებაზე ორიენტირებული კანდიდატებიც. თან, თავად პარტიაც გადაწყვეტს, რომელი ხაზია მისთვის უფრო მისაღები. ეს პირველი შემთხვევაა, როცა გადაწყვეტილებას არა ერთი ან რამდენიმე ადამიანი, არამედ მთელი პარტია იღებს. 5 კაცი კაბინეტში რომ არ ჩაიკეტება და კანდიდატს ისე არ დაასახელებს, ჩვენი მხრიდან ესეც საზოგადოების პატივისცემაა. პიროვნული კონკურენცია ნაკლებად მნიშვნელოვანია. მთავარი მიდგომების კონკურენციაა — მაგალითად, ჩემი ხედვები გაცილებით კომპრომისულია, ვიდრე მალაშხიასი.

— ეს კომპრომისული ხედვები განაპირობებს იმას, რომ NDI-ის ბოლო გამოკითხვებით, ყველაზე პოპულარული ოპოზიციონერი ლიდერი ხართ — კმაყოფილი ხართ თქვენი შედეგით?

— ყველა კვლევა სანდო არ არის, მაგრამ NDI მთელ მსოფლიოში მომუშავე ორგანიზაციაა, რომელსაც მაღალი ნდობა აქვს და არ მგონია, საკუთარი რეპუტაცია მარგველაშვილს ან ბაქრაძეს შესწიროს. ჩვენი პარტიისთვის შედეგები სასიამოვნო ნამდვილად არ არის: პარტიულად, ძალიან დაბალი მხარდაჭერა გვაქვს, მაგრამ არც უნდობლობის საფუძველი მაქვს. უბრალოდ, საზოგადოების განწყობა ძალიან სწრაფად იცვლება: რა რეიტინგიც ახლა გვაქვს, ერთი წლის წინ ის ჩვენს ოპოზიციას ჰქონდა. მე რაც შემეხება, პირად რეიტინგზე არასოდეს მიმუშავია და რასაც ეს ბოლო 9 თვეა ვაკეთებ, ჩემი გააზრებული მიდგომაა. ქვეყანას დღეს ძლიერი ოპოზიცია სჭირდება, ოღონდ მას მთავრობასთან ერთად, საქმის კეთებაც უნდა შეეძლოს. ეს ჩემი მთავარი მიდგომაა: კრიტიკული ვარ ხელისუფლების მიმართ, მაგრამ იმის კომპლექსი არ მაქვს, ხელისუფლება მუდმივად ვლანძღო და ვიძახო, არ ვითანამშრომლებ-მეთქი. პირდაპირ ვამბობ — მზად ვარ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ!

— თქვენი ეს განცხადებები, შესაძლოა, პარტიის სხვა, „არაკონსტრუქციული“ ლიდერებისგან „კონსტრუქციული“ ფრთის გამოყოფად მიიჩნიონ — მართლა ორად იყოფით?

— ნაციონალური მოძრაობა არ იყოფა, მაგრამ პარტიის შიგნით დიდი ცვლილებები მიდის, რაც ადვილი არ არის, პირიქით, ბევრი ადამიანისთვის ძალიან მტკივნეული, რთული პროცესია და ეს უნდა გვესმოდეს.

— ეს მათაც ესმით, ვისაც ემიჯნებით?

— ახლა, ყველას გასაგონად, მკვეთრ განცხადებას ვაკეთებ:

> **ნაციონალური მოძრაობა ისეთი, როგორიც 1, 2 და მეტი წლის წინ იყო, ვეღარასოდეს იქნება! ნაციონალური მოძრაობა დამთავრდა! ამას ვამბობ, როგორც პარტიის ერთ-ერთ ლიდერი. ეს განცხადება ვიღაცას მოეწონება, ვიღაცას არ მოეწონება, ჩვენი მხარდამჭერებისთვის, შესაძლოა, მეტისმეტად მკვეთრი განაცხადია, მაგრამ პარტიამ მოსახლეობას უნდა აჩვენოს, რომ საკუთარ შეცდომებზე ვისწავლეთ. ამიტომ პარტიის შიგნით ძალიან სერიოზული გარდაქმნები მიდის და ეს უმტკივნეულო პროცესი არ არის. ყველას უნდა ესმოდეს — თუ ნაციონალური მოძრაობა ძირეულად არ შეიცვალა, ვერ აღვადგენთ ხიდს მოსახლეობის დიდ ნაწილთან!**

— ორი წუთის წინ თქვით, რომ მზად ხართ ხელისუფლებასთან სათანამშრომლოდ. როცა პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი გეკავათ, ოპოზიციას ისე რატომ არ ექცეოდით, როგორც თქვენ გექცევათ ხელისუფლება?

— თუ ჩვენსა და ოპოზიციას შორის ურთიერთობაზეა საუბარი, ისიც ვთქვათ, რომ მათ ასე ნამდვილად არ ექცეოდით და წინა წლებში, ოპოზიციის არც ერთი ლიდერი არ დაგვიპატიმრებია, თუმცა ვიღებ კრიტიკას იმაზე, რომ წინა წლებში გაცილებით აქტიური უნდა ვყოფილიყავი გუნდის შიგნით და არა ოპოზიციასთან მიმართებაში. ბევრჯერ, მთავარი კომუნიკატორი ვიყავი მაშინდელ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის, ყოველთვის ვცდილობდი, ოპოზიციასთან კონტაქტი მქონოდა და, შესაძლოა, ჩემდამი „ოცნების“ დამოკიდებულება ამითაცაა განპირობებული.

> **ვიღებ კრიტიკას იმაზე, რომ საკუთარ გუნდთან, როგორც პარლამენტის თავმჯდომარე, მაშინ ბევრად კრიტიკული უნდა ვყოფილიყავი. ჩვენთვის არც ისაა პრობლემა, თუ გინდათ, წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულებიც ვაღიაროთ, მაგრამ სადაც საჭიროა, იქ ახალ ხელისუფლებასთან უნდა ვიმუშაოთ.**

— ამ დღეებში გიგი უგულავას სასამართლო პროცესი მიდის — ამ პათოსიდან გამომდინარე, შეუძახეთ უგულავას, აღიაროს რამდენიმე კონკრეტული დანაშაული და რაკი სასამართლო გირაოს შეფარდებაზე არც კი მსჯელობს, მისი დაკავება თქვენთვის პოლიტიკური დევნა იქნება?

— მოდით, კლიშეებით ნუ ვიმსჯელებთ. საქმე სასამართლო პროცესს ეხება და უგულავას კონკრეტულ დანაშაულზე ჩვენ არაფერი ვიცით. სამაგიეროდ, ნამდვილად ვიცი და მახსოვს, როგორი იყო დედაქალაქი 10 წლის წინ. ასევე, შეიძლება, მოსახლეობისთვის დენისა და ნაგვის გადასახადების ერთმანეთზე მიბმა ცუდი იყო, მაგრამ ამაში დანაშაული არაა.

— მერიას უკავშირდება გაყალბებული ტენდერები, რომლის საბუთებს 9 წელი თინა ხიდაშელი აფრიალებდა, უგულავამ არჩევნების წინ შექმნა სრულიად უკანონო დაცვის სამსახური, მერია აფინანსებდა ნაციონალების პარტიულ თავყრილობებს და ა.შ.

— ჰოდა, ამ ყველაფერს სასამართლო გაარკვევს და თუ სადმე რაიმე კანონდარღვევა აღმოჩნდება, რაც კონკრეტულად, გიგი უგულავას უკავშირდება, მაშინ ის პასუხს აგებს. როცა აპატურაის ვიზიტის დროს 23 ადამიანს უკანონოდ იჭერენ, ათასობით აქტივისტი მარტო იმიტომაა დაკითხული, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრია და ჩვენი პარტიიდან გასული ხალხი ახალი ხელისუფლების „პატიებას“ „აღიარებითი ჩვენებებით“ იღებს, დიახ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკური პროცესი და პოლიტიკური კამპანიის ნაწილია! თუმცა დანაშაულსა და არასწორ საქციელზე ნებისმიერმა პასუხი უნდა აგოს — გიგი უგულავამაც და დავით ბაქრაძემაც!

— ურეკის აგარაკზე ივანიშვილ-უსუფაშვილთან თქვენი შეხვედრის შემდეგ გაჩნდა აზრი, რომ ნაციონალებს ინდულგენცია გამოუტანეთ, აღარ დაგიჭერენო. თუმცა სწორედ ამის მერე აღიძრა საქმე რუსუდან კერვალიშვილის წინააღმდეგ, თენგიზ გუნავა ციხეში შეაბრუნეს, მიდის უგულავას პროცესი... ასეთი რა უთხარით ბიძინა ივანიშვილს?

— არავისთვის არანაირი ინდულგენცია არ გამომიტანია... ჩვენ მხოლოდ იმ უკანონო დაკითხვა-დაპატიმრებებზე ვისაუბრეთ, რაც ნაციონალური მოძრაობის შემომწირველებს ეხებოდა და რაზეც ამნისტია უკვე გამოცხადებული იყო. შემომწირველთა დევნა კანონდარღვევით მიდიოდა და პრემიერმა თქვა, რომ ამ პროცესს შეაჩერებდა.

დასასრული მე-4 გვერდზე

პარტიები საარჩევნო გარემოს გაუარესებაზე საუბრობენ

ოპოზიციური პარტიები საარჩევნო გარემოს გაუარესებაზე საუბრობენ და ერთობლივ განცხადებას ავრცელებენ, სადაც ნათქვამია, რომ 2013 წლის ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი წინაპირობების არარსებობის გამო, არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ დგება: **„ოპოზიცია ემზადებოდა მოლაპარაკებების მეორე ეტაპისთვის, 15 ივლისს კი, ყოველგვარი წინასწარი კონსულტაციების გარეშე გაკეთდა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადება, რომ ხელისუფლება ოპოზიციასთან უკვე შეთანხმებული ცვლილებების განხორციელებაზეც კი უარს ამბობს. პარალელურად, შეინიშნება საარჩევნო გარემოს გაუარესების კუთხით სხვა შემაშფოთებელი სიგნალებიც — ამომრჩეველთა სიიდან რეგისტრაციიდან მოხსნილი პირების ამოღება, ადმინისტრაციული და პოლიციური რესურსების მობილიზაცია, საარჩევნო ადმინისტრაციის და მედიის მკაცრი კონტროლი და პოლარიზაცია. ხელისუფლება უარს ამბობს „რვიანის“ წინადადებებზე, რომელთა შემუშავებაშიც თავად მონაწილეობდა“.**

ოპოზიციური პარტიების ინფორმაციით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გარემოება, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში არასაპარლამენტო ოპოზიციასა და მმართველ კოალიციას შორის მოლაპარაკებების პირველივე პრეცედენტი შეთანხმებული პირობების დარღვევით დამთავრდა: **„აქედან გამომდინარე, არანაირი წინაპირობები არ არსებობს 2013 წლის ოქტომბერში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად და ეჭვქვეშ დგება ამ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა. შექმნილი ვითარების გამოსწორების მიზნით მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას: მოახდინოს შეთანხმებული კანონპროექტების ინიცირება პარლამენტში და მათი დროული იმპლემენტაცია; დაუყოვნებლივ განაახლოს დიალოგი ოპოზიციურ პარტიებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან საარჩევნო გარემოს დემოკრატიული რეფორმების მიზნით; რეფორმის პროცესში გათვალისწინებულ იქნას „რვიანის“ (ანუ თავად დღევანდელი ხელისუფლების) წინადადებები და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შესახებ ევროპული სტანდარტები (ე.წ. კოპენჰაგენის კრიტერიუმები); წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებლად მივიჩნევთ ქვეყანაში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებას, რაც ქვეყანას ახალი პოლიტიკური კრიზისისკენ უბიძგებს“.**

ოპოზიციური პარტიების განცხადებას ხელს აწერენ „ახალი მემარჯვენეები“, „დემოკრატიული მოძრაობა“, „თავისუფალი საქართველო“, „ლეიბორისტული პარტია“, „ქართული დასი“ და „ქრისტიან-დემოკრატები“.

„ინტერპრესნიუსი“

„ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიებაში პროგრესია“

ეს განცხადება საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში გააკეთა. მისი განმარტებით, ამ საქმის გახსნა ერთ-ერთი პრიორიტეტია და გამოძიება სრული სვლით მიმდინარეობს. კბილაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ მომხდარიდან 8 წლის შემდეგ, როდესაც საქმეში ზოგიერთი დოკუმენტი არაა ან შედგენილია არაჯეროვნად, გამოძიებას დასახული ამოცანის შესრულებას ურთულდება.

„პროგრესად მივიჩნევ, როდესაც კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები – რა მოხდა, სიცხადეს იძენს. ვერ ვიტყვი, რაში გამოიხატება ეს სიცხადე და რა გარემოების დადგენასთან ვართ ახლოს, ვშიშობ, ამით საქმეს ზიანი არ მივაყენო, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი მაქვს. გამომძიებელი ძალიან კვალიფიციურად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას. ეს საქმე აუცილებლად გაიხსნება და საზოგადოება მიიღებს ამომწურავ პასუხს, რა მოხდა 2005 წლის 3 თებერვალს და რასთან გვაქვს საქმე – უბედურ შემთხვევასა თუ სხვა რამესთან. კითხვები, რაც აწუხებს ყველას, გვაწუხებს ჩვენც და ეტაპობრივად მივდივართ ამოცანის ამოსახსნელად“.

„ინტერპრესნიუსი“

პოლიციელების დაჭრის გამო, ახალგაზრდა პირი დააკავეს

შსს-ს აჭარის სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა 1993 წელს დაბადებული ბედია ქ. დააკავეს, რომელმაც ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-2 განყოფილების უბნის ინსპექტორ-გამომძიებლებს მამუკა კომახიძესა და ზვიად ქათამაძეს ცივი იარაღით დაზიანებები მიაყენა.

დადგინდა, რომ ბათუმის საქალაქო სამმართველოში ტბელ აბუსერიძის 1-ელ ნომერში მდებარე სილამაზის სალონიდან გამოძახება შევიდა. მოქალაქის განცხადებით, სალონში შესული იყო ახალგაზრდა პირი, რომელმაც სავარაუდოდ, აღნიშნული სალონი წინა დღეს გაქურდა. მიღებული შეტყობინების საფუძველზე, ინსპექტორ-გამომძიებლები კომახიძე და ქათამაძე გამოცხადდნენ აღნიშნულ სალონში. ეჭვმიტანილმა მამუკა კომახიძეს ცივი იარაღით ერთი ჭრილობა გულ-მკერდის არეში მიაყენა, ხოლო ზვიად ქათამაძეს ხელის არეში. პოლიციელებმა განახორციელეს დევნა და საპატრულო პოლიციის ეკიპაჟთან ერთად, სავარაუდო ეჭვმიტანილი ჯავახიშვილისა და აბუსერიძის ქუჩების კვეთაზე მომხდარიდან რამდენიმე წუთში დააკავეს. ეჭვმიტანილი წარსულში ქურდობისა და ძარცვის მცდელობისათვისაა ნასამართლევი.

დაჭრილი სამართალდამცველები ბათუმის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მათ პირველადი დახმარება გაუწიეს. ამ დროისთვის ორივე მათგანი გაწერილია სამკურნალო დაწესებულებიდან.

ამ ეტაპზე, გამოძიება პოლიციის მუშაკისათვის წინააღმდეგობის გაწევის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 353-ე მუხლით). გამოძიების პროცესში დაკავებულს, სავარაუდოდ, ბრალი ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობის მუხლით დაუმძიმდება.

„ვერსიანიუსი“

პრეზიდენტის პოსტზე კენჭისყრის შემთხვევაში, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირს თანამდებობის დატოვება მოუწევს

შეზღუდვა, რომელიც ამ თვალსაზრისით, „სარჩევნო კოდექსში“ არ არსებობს, კანონში უახლოეს პერიოდში ჩაიდება. კერძოდ, მომზადებული ცვლილებების თანახმად, კანონს ახალი მუხლი ემატება, რომლის მიხედვითაც დგინდება პრეზიდენტობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან.

პრეზიდენტის კანდიდატად რეგისტრაციის შესახებ კომისიისთვის განცხადების წარდგენიდან არა უმეტეს ორი დღისა, დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ შემდეგი თანამდებობის პირები: პრემიერ-მინისტრი, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები და მათი მოადგილეები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დანესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, ასევე უშიშროების საბჭოს წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, გენერალური აუდიტორი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო რწმუნებულები და მათი მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებელი, ქალაქის მერი, შს და თავდაცვის მინისტრები, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები. ასევე პრეზიდენტობის კანდიდატობის სტატუსთან შეუთავსებელი თანამდებობაა — მოსამართლის თანამდებობა, სახალხო დამცველისა და მისი მოადგილის პოსტი, პრეზიდენტის მრჩევლის თანამდებობა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობა, საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილეების პოსტები.

საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის შემთხვევაში, თანამდებობის დატოვება ასევე მოუწევთ პროკურორებს, მათ მოადგილეებს, თანაშემწეებსა და გამომძიებლებს, ასევე კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და ენერგეტიკის და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებს.

„ინტერპრესნიუსი“

სოზარ სუბარი: „გამონაკლისს ვერავისთვის დავუშვებთ“

რუსუდან შელია
557-100-768

17 ივლისს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა სოზარ სუბარმა მედიის წარმომადგენლებს ნიუ იორკის „ღია საზოგადოების“ მიერ გამოქვეყნებული შედეგები გააცნო, სადაც ნათქვამია, რომ საქართველო „ცე“ ჰეპატიტთან ბრძოლის მიმართულებით, ლიდერი სახელმწიფო ხდება. მინისტრის განცხადებით, უახლოეს მომავალში, აღნიშნულ დაავადებასთან ბრძოლა სასჯელაღსრულების სისტემიდან სრულიად საქართველოს მასშტაბით გაგრძელდება. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ NDI-ს კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც საზოგადოების 39% პენიტენციალურ სისტემაში მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლაზე საუბრობს, კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ამ მიმართულებით საგანგაშო მდგომარეობა ქვეყანაში აღარ არის.

სოზარ სუბარი ევროპელი დეპუტატების განცხადებასაც გამოეხმაურა, რომლებმაც შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ვანო მერაბიშვილის ოჯახის წევრებს მისი მონახულების საშუალება არ აქვთ: **„საქმის ძიების ეტაპზე ვანო მერაბიშვილის ახლობლებს მისი მონახულების უფლება არ აქვთ; თანაც სასჯელაღსრულების დაწესებულების კვალობაზე, მერაბიშვილი საკმაოდ კარგ პირობებშია. ციხე „კემპინსკის“ სასტუმრო არ არის. პატიმრის მონახულებას გამოძიების პარალელურად, კანონი მკაცრად არეგულირებს და სასჯელაღსრულების სამინისტრო ამ საკითხში ვერ ჩაერევა. ასე რომ, გამონაკლისს ვერავისთვის დავუშვებთ. თანასწორობაა ის ღირებულება, რომელსაც მთელი ქვეყანა უნდა ეფუძნებოდეს. თანაც, რატომღაც ეს ადამიანები მაშინ არ აღშფოთებულან, როცა გირგვლიანის საქმეზე ევროსასამართლომ წინა ხელისუფლებას უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა; ისინი არც იმ ფაქტს შეუწუხებია, რომ ადამიანებს ქუჩასა და ციხეებში ხოცავდნენ. წინა წლებს გადახედონ და შემდეგ ილაპარაკონ იმ პირობებზე, რაც დღეს სასჯელაღსრულების სისტემაშია“.** რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მერაბიშვილმა წონაში დაიკლო, სუბარის განმარტებით, იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ვარჯიშობს და სიგამხდრეც ამან განაპირობა, ექიმის გამოძახების უფლება კი, ყველა პატიმარს აქვს: **„ისეთი ჯანდაცვის სისტემა, როგორიც დღეს ციხეებში ჩამოყალიბდა, ჩვენს ქვეყანაში ამ დრომდე არ ყოფილა... როდესაც ვანო მერაბიშვილი შს მინისტრისა და პრემიერის პოსტებს იკავებდა, პატიმარზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან წლიურად 168 აშშ დოლარი იყო გამოყოფილი, დღეს კი, თითოეული მსჯავრდებულის ჯანდაცვაზე 680 აშშ დოლარი იხარჯება. ადრე ფულს მხოლოდ იმისთვის იყენებდნენ, საკნებში სათვალთვალო დაემონტაჟებინათ. არადა, კამერები დერეფნებსა და ეზოებში, იქ, სადაც მართლაც საჭიროა ვიდეოკონტროლი, დამონტაჟებული არ არის“.** მან გადატვირთულობის პრობლემაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში შენობების ნახაზებიც კი არ არსებობდა და გაურკვეველი რჩებოდა, ვის საკუთრებაში იყო მიწა, რომელზეც ციხეები შენდებოდა.

გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს რუსთავის დაწესებულებაში მყოფი ერთ-ერთი მსჯავრდებული ციხის თანამშრომლებმა თოკზე ჩამოკიდეს და სასტიკად სცემეს, რის გამოც პატიმარი უმძიმეს მდგომარეობაში, საავადმყოფოში იმყოფება, მინისტრმა ნაწილობრივ დაადასტურა, თუმცა ისიც განმარტა, რომ აღნიშნულმა პატიმარმა თავის დაზიანება რამდენჯერმე სცადა: **„დიახ, ეს პატიმარი საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. სამი დღის განმავლობაში, იგი სამოქალაქო საავადმყოფოში ექვსჯერ გადავიყვანეთ. მან საკუთარი თავი დაიზიანა. პერიოდულად, სხვადასხვა ორგანოებს იჭრის. ცდილობს, დედა და ახლობლები შეაშინოს, რადგან მუდმივი პატიმრობა აქვს მისჯილი, თანაც საკმაოდ მძიმე ავადმყოფია... იძულებულები ვართ, ეს პატიმარი ციხიდან ციხეში გადავიყვანოთ, რადგან ერთ შენობაში დიდხანს ვერ ვაჩერებთ. მისი ყოფნისას ციხის თანამშრომლები სამსახურებიდან გარბიან. გამოსავალი ისაა, ბორკილებით დავაბათ და იზოლირებულ ადგილას გადავიყვანოთ, მაგრამ ამის უფლება კანონის მიხედვით არ გვაქვს“.**

სოზარ სუბარმა გეგუთის კოლონიაში გარდაცვლილი პატიმრის, ლევან კორტავას სკანდალურ საქმეზეც ისაუბრა. კითხვაზე, გათავისუფლდნენ თუ არა სამსახურიდან ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები, განაცხადა, რომ ციხის დირექტორმა და მისმა მოადგილეებმა თანამდებობა უკვე დატოვეს, პროკურატურა კი გამოძიების შედეგებს უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებს. მან არ უარყო ინფორმაცია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღმოჩენილი დარღვევების გამო დაკავებულებს პროკურორები ღამის საათებში კითხავდნენ: **„გამოძიების საქმეებში ჩახედვა ჩემ კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ დაკითხვის უფლება პროკურორს როგორც შუადღეს, ისე ღამის საათებშიც აქვს და ეს კანონის დარღვევა სულაც არ არის. დაკითხვის უფლება პროკურორს მხოლოდ იმ შემთხვევაში არ აქვს, თუ ბრალდებული ამის წინააღმდეგია. მერწმუნეთ, ჩვენ არ დავუშვებდით დაკითხვა ბრალდებულის ნების წინააღმდეგ განხორციელებულიყო“.** მინისტრმა პრესკონფერენცია თანამდებობიდან მისი წასვლის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის განმარტებით დაასრულა და აღნიშნა, რომ უწყებაში მისი ინიციატივით დაწყებული პროგრამების სრულად განხორციელება მომავალი წლისთვის იგეგმება, ამიტომ, სავარაუდოდ, უკვე გათვლილ პროექტებს თავად დაასრულებს.

„გუნდთან ბევრად კრიტიკული უნდა ვყოფილიყავი!“

მე-3 გვერდიდან

ამაზე იყო საუბარი და არა რაღაც გარანტიებზე; თუმცა ახლაც ვადასტურებ, რომ ეს ძალიან კარგი შეხვედრა იყო. რაც შეეხება „დექსუსსა“ და „ცენტრ პოინტს“, ამას პოლიტიკურ საქმედ საერთოდ არ განვიხილავ — ეს წმინდა ფინანსური გამოძიებაა, დავა მეანაბრეებსა და კერძო კომპანიებს შორის. ამ დავაში ძალიან ბევრი დაზარალებული ადამიანი ჩანს, ვინც სამშენებლო კომპანიაში თანხა შეიტანა და ბინა ვერ მიიღო, ასე რომ, აქ პოლიტიკური არაფერია, იმის მიუხედავად, რომ რუსუდან კერვალიშვილი საპარლამენტო უმრავლესობის წევრი იყო, მასთან პიროვნულად ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს და „ოცნების“ უმრავლესობის 16 დეპუტატი მას თავდებშიც ჩაუდგა. ეს მაინც არ არის პოლიტიკური საქმე, განსხვავებით თენგიზ გუნავას საქმისგან, რომელიც იმის მაგალითია, როგორ ვერ ისწავლა ახალმა ხელისუფლებამ ჩვენს შეცდომებზე. როცა არსებობს დანაშაული და აკავებ ადამიანს, ეს ნორმალური და დამაჯერებელია, მაგრამ როცა არის ადამიანი და ეძებ დანაშაულს მის დასაკავებლად, ეს უკვე პოლიტიკური დევნაა.

— პასუხის არსი ისაა, რომ კერვალიშვილი დამნაშავეა, გუნავა — უდანაშაულო და ნაციონალური მოძრაობა დამნაშავე წევრებს ემიჯნება?

— არ მითქვამს, რომ კერვალიშვილი დამნაშავეა, მაგრამ ამ საქმესთან არაფერ შუაშია ის, იყო თუ არა კერვალიშვილი პარლამენტარი და ნაციონალი — ეს მისი კომერციული საქმიანობაა.

— შეაფასეთ თქვენი შანსები საპრეზიდენტო არჩევნებზე, რომლის შედეგი, ფაქტობრივად, უკვე ცნობილია... რა აზრი აქვს მასში თქვენს მონაწილეობას?

— მნიშვნელოვანია, ყველა მმართველი პოზიცია ერთი პოლიტიკური ძალის ხელში არ იყოს. რაკი მთავრობა და პრემიერი, ასევე საპარლამენტო უმრავლესობა რჩება და არ იცვლება, პრეზიდენტი მაინც უნდა იყოს ისეთი, ვინც ამ ყველას მუშაობას გვერდიდან შეხედავს და გუნდის გაკონტროლებას შეძლებს.

— ასეთი თქვენ ხართ?

— აქ პრეზიდენტის გვარს არ აქვს მნიშვნელობა. წარმოდგენილი კანდიდატებიდან ასეთი ვინცაა, იმას ხმას საქართველოს მოსახლეობა მისცემს. რაც შეეხება ჩვენს შანსებს, სწორი მიდგომის შემთხვევაში, შანსი გვაქვს. მე მაგალითად, ვაპირებ, მთელი ჩემი კამპანია შერიგებისკენ წავიყვანო და მაქსიმალურად ობიექტური ვიყო, საკუთარ, ჩემი თანაგუნდელებისა და ახალი ხელისუფლების შეცდომებზე საუბრისასაც კი. ახლა ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალა ვართ, ამ არჩევნების მერეც ასე დარჩება, მაგრამ ეს ჩვენი თვითმიზანი არაა და კვლავ ხელისუფლებაში ვაპირებთ დაბრუნებას!

ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტები გამოცხადდა

ჟიურიმ 265 წიგნიდან 60 ფინალისტი დაასახელა

ლიტერატურული პრემია „საბას“ ფინალისტების ვინაობა უკვე ცნობილია! კონკურსის პირველი ეტაპი დასრულდა და „საბას“ ჟიურიმ დაასახელა ფინალისტები — ე.წ. შორტლისტები, სადაც პრემიაზე წარდგენილი 265 წიგნიდან მხოლოდ 60 მოხვდა.

ამით „საბას“ წინასაკონკურსო ციებ-ცხელება მთავარ ფაზაში გადავიდა, ვინაიდან სექტემბერში სწორედ ამ 60 ფინალისტიდან დასახელდება გამარჯვებულები — ისინი, ვინც საქართველოში ყველაზე ავტორიტეტული ლიტერატურული ჯილდოს და, მასთან ერთად, თიბისი ბანკის მიერ დაწესებული ფულადი პრემიების მფლობელები გახდებიან.

„საბას“ რიგით მე-11 საზეიმო დაჯილდოება სექტემბრის შუა რიცხვებში გაიმართება, რომელზეც კონკურსის ჟიური გამარჯვებულ ავტორებს 10 ნომინაციაში გამოავლენს. საპრემიო ფონდი 44 ათას ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს „საბას„ კონკურსის დამფუძნებელი და ორგანიზატორი, თიბისი ბანკი გადასცემს.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა, პენ-ცენტრმა და რუსთავი-2-მა. პრემიის მიზანია, წლის საუკეთესო წიგნების გამოვლენა. ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში წინა წელს გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები, უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი და ასევე, ქართული ნაწარმოების უცხოური თარგმანები. ცალკე გაიცემა პრემია „ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის“.

წლევანდელი ნომინაციების ფინალისტების სია ასეთია:

საუკეთესო პოეტური კრებული

1. ანდრო ბუაჩიძე, **ღამის ნათელი**
2. ლია სტურუა, **დავიწყების დღე**
3. ბესიკ ხარანაული, **მთავარი გამთამაშებელი**
4. გაგა ნახუცრიშვილი, **სტროფი**
5. გივი ალხაზიშვილი, **ეპისტოლეთა წიგნი**
6. დიანა ანფიმიადი, **ახლოხედვის ტრაექტორია**
7. ვაჟა ხორნაული, **როგორც ბაღიდან სურნელება — ლექსი გამოვიდა გულიდან**
8. იაკი კაბე, **ლექსები**
9. კატო ჯავახიშვილი, **ნაცვალი სახელი**

საუკეთესო პროზაული კრებული

1. გიორგი შერვაშიძე, **ჩემი იერუსალიმი**
2. ზაალ სამადაშვილი, **ავტოპორტრეტი წიგნების ფონზე**
3. ირაკლი ლომოური, **ავტონეკროლოგი**
4. ირაკლი სამსონაძე, **შემკრთალი ქუჩა**
5. ნატა ვარადა, **დედის კერძი**
6. ნელი ბატიაშვილი, **გამჭოლი ქარი**
7. ცოტნე ჩიქოვანი, **ცხოვრების გზაზე**
8. გიო მგელაძე, **SMS**

საუკეთესო რომანი

1. ერეკლე დეისაძე, **დამლაგებელი**
2. ირაკლი ბერიაშვილი, **იუდა. 1982**
3. ირაკლი სამსონაძე, **ღრუბელი სახელად დარინდა**
4. ლადო კილასონია, **ფანტომასის კვალდაკვალ**
5. ლაშა იმედაშვილი, **თბილისური ამბავი**
6. მიხო მოსულიშვილი, **ჰელესა**
7. ნაირა გელაშვილი, **მე ის ვარ**

საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი

1. თამთა დოლიძე, **წყლის სახლი**
2. ლევან ორახელაშვილი, **მისტერ მემედ ეფენდის მისტერიები**
3. მარი ბექაური, **ელექტროთაობა**
4. მარინა ელბაქიძე, **გაცვლა**
5. ნათია მერებაშვილი, თარგმანისათვის — **ტუვე იანსონის „საზაფხულო წიგნი“**
6. ნუკრი ბერეთელი, **ჩიხი**
7. სოფიკო ალავერდაშვილი, **ბალეტი ტროტუარზე**
8. კატია ვოლტერსი, **იერიქონის ვარდი**
9. ზაზა კოშკაძე, **შუაღამის ცეკვა კიბოსთვის**

საუკეთესო პიესა

1. ალექს ჩიღვინაძე, **ქალაქის მერის ცოლის საყვარელი**
2. ბასა ჯანიკაშვილი, **ლაბადა და ფეხსაცმელი**
3. ბექა ქურხული, **აჰა, საცაა ხე წაიქცევა**
4. დათო ტურაშვილი, **დოდოს მოლოდინში**
5. ირაკლი სამსონაძე, **კლინიკური ქორწინება**
6. ვანო ჩხიკვაძე, **20 წლის წინათ**

საუკეთესო თარგმანი

1. გია ბერაძე — ჯ. მ. კუტზეეს **„სირცხვილი“**
2. გია ბერაძე — ჯეიმს ჯოისის **„ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“**
3. გია ჭუმბურიძე — პ.გ ვუდჰაუსის **„დაიკიდე, ჯივზ!“**
4. გიორგი შაყულაშვილი — ომერ სეიფედინის **„პირველი ცოდვა“**
5. გიორგი ქაჯაია — გაიუს პეტრონიუს არბიტერის **„სატირიკონი“**
6. დალი ფანჯიკიძე — გრიგოლ რობაქიძის **„ქალღმერთის ძახილი“**
7. ზაზა ჭილაძე — იულიამ ფოლკნერის **„დროშები მტვერში“**
8. თამარ ჯაფარიძე — ჰენრი მილერის **„კირჩხიბის ტროპიკი“**
9. ლია ჩლაიძე — ორჰან ფამუქის **„მდუმარე სახლი“**
10. ნანა გოგოლაშვილი — გრიგოლ რობაქიძის **„მეგი — ქართველი გოგონა“**
11. ნანა ჯანაშია — ოია ბაიდარის **„დაფერფლილები“**
12. ნიკა სამუშია — ჩაკ პალანიკის **„მებრძოლთა კლუბი“**
13. ხათუნა ცხადაძე — ანტონიო ტაბუკის **„მიაჩნია პერეირას“**

საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა

1. ელგუჯა თავბერიძე, **კოლიმგრაფი**
2. ოქტაი ქაზუმოვი, **129 გვერდი ლიტერატურაზე**

საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

1. არჩილ ქიქოძე, **ესსეები**
2. გიორგი მაისურაძე, **დაკარგული კონტექსტები**
3. ზაზა ბურჭულაძე, **ნორმა**
4. ლევან ბრეგაძე, **ყოფითი რწმენა-წარმოდგენები**
5. პეტრე მამრაძე, **ავანტიურა 08.08.08**
6. რუსუდან გორგილაძე, **კერძთაყვანისცემა**

თიბისი ბანკი
TBC BANK

„ჩემო ზაქრო, შენ რაც გაიფიქრე, მე უკვე დიდი ხნის ნაფიქრი მაქვს...“

ღევან ვეფხვაძე „პაღიკო კუბლაშვილის კლონის“ ზაქარია ქუცნაშვილის ბრალდებებს პასუხობს და „ვერსიას“ არასაპარლამენტო ოპოზიციის ოთხპუნქტიან გეგმას უმხელს!

ერუსუდან შელია
557-100-768

„ქართული ოცნების“ დაპირების მიუხედავად, პარტიების დაფინანსების წესი, შესაძლოა, ადგილობრივ არჩევნებამდე არ შეიცვალოს და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, არაკვალიფიციური-არასაპარლამენტო პარტიები დაფინანსების გარეშე დარჩნენ. არასაპარლამენტო ოპოზიციის მტკიცებით, წინა ინტერფრაქციული შეხვედრისას, რიგი არასაპარლამენტო პარტიებისთვის 150-ათასიანი დაფინანსების გაცემაზე შეთანხმება შედგა, მოგვიანებით კი, ყველასთვის მოულოდნელად, აღმოჩნდა, რომ შეთანხმება ჩაიშალა. ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი ზაქარია ქუცნაშვილი ამტკიცებს, რომ ამის მიზეზი ქრისტიან-დემოკრატები, დემოკრატიული მოძრაობა და მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძეა ანუ ისინი, ვინც უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები გააპროტესტა. სავარაუდოდ, მომავალი წლის ადგილობრივ არჩევნებამდე ძალაში დარჩება მოქმედი კანონი. ქრისტიან-დემოკრატი ლევან ვეფხვაძე „ვერსიას“ უმხელს, რატომ ჩაიშალა შეთანხმება და რა გარიგება შედგა კოალიციანაცმოძრაობას შორის.

— მოლაპარაკების ჩაშლის ჩვენზე გადმობრალება უსინდოსობაა! კარგად გამოჩნდა, რომ ზაქრო ქუცნაშვილს ბევრი რამ არც კი ესმის. ამ ადამიანებმა ინტერფრაქციული ჯგუფი შექმნეს, რაც ნიშნავს, რომ შეთანხმებაზე ხელისმომწერები დეპუტატები არიან. ახლა მომადგნენ, დოკუმენტს ხელი მოაწერეო... რატომ, დეპუტატი ვარ?! მეორეც, ყველა კვალიფიციური პარტიისთვის საბაზისო დაფინანსება უნდა გაზრდილიყო. გარდა ამისა, საპარლამენტო პარტიებმა გადაწყვიტეს, ფრაქციის შექმნის შემთხვევაში, პარტიისთვის, რომელიც არჩევნებში ბარიერს გადალახავდა, 300 ათასი ლარიც დაემატებინათ. ამ საკითხებზე კითხვები რომ დავსვი, არავინ მიპასუხა. „ოცნება“, რომელიც თანდათან ნაციონალურ მოძრაობას ემსგავსება, არასაპარლამენტო ოპოზიციას ღიად უპირისპირდება. როცა პარტიების დაფინანსების საკითხებზე ზაქარია ქუცნაშვილთან საკმაოდ არაორგანიზებულ შეხვედრაზე ვისაუბრეთ, მან გვითხრა, დოკუმენტზე ხელი უნდა მოაწეროთო. ეს აბსოლუტურად სპონტანურად მოხდა და ხელის მოწერასთან დაკავშირებით წინასწარი შეთანხმება არც ყოფილა.

— გაუგებარია, ამ ხნის განმავლობაში არ იცოდით, უმრავლესობასთან რა საკითხებზე თანხმდებოდით?

— სხდომის დასრულების შემდეგ, ზაქარია ქუცნაშვილმა ფურცელი ამოიღო და გვითხრა, სულ დამავიწყდა, ამ დოკუმენტზე ხელი რომ უნდა მოგეწერათო. მოგვიანებით კი, შევიტყვეთ, რომ მოლაპარაკების ინტერფრაქციულიდან ინტერპარტიულ ფორმატში გადავდიოდით. ეს ყველაფერი თავიდანვე უნდა შეთანხმებულიყო, ჩემო ძმაო და მეგობარო ზაქრო! კიდევ ერთი მომენტი: პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონი როცა გავიარეთ, გარკვეულ საკითხებზე შევთანხმდით, თუმცა იყო დეტალები, რაზეც განსხვავებული მოსაზრებები გვქონდა. მემორანდუმში კი წერია, რომ თურმე საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიები პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონში დაგეგმილ შესწორებებს სრულიად ვეთანხმებით. შე კაი კაცო, ისევ ჩემო ძმაო და მეგობარო ზაქრო, რაზე შევთანხმდით? პირადად, მე, სულ ცოტა ხნის წინ გავიგე ადმინისტრაციული რესურსების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება. ამ დრომდე, პასუხს ველოდებოდით; თანაც, ზაქრომ ჩვენი წინადადებები საკუთარ ინიციატივად გააფორმა და ღმერთმა შეარგოს — საქმე გაკეთდეს და პრობლემა არ გვაქვს.

— ზაქარია ქუცნაშვილი აცხადებს, პოლიტიკურ პარტიებს შორის შეუთანხმებლობის მიზეზი ქრისტიან-დემოკრატები“ არიან რადგან ცესკო-ში წევრს ითხოვდნენ და უარის შემდეგ, შეთანხმებას მხარი არ დაუჭირესო. ამასთან, სატელიტი პარტიის შერწყმით ფულის დამატება გსურდათ, თურმე.

> **— ჩემო ზაქრო, შენ რაც გაიფიქრე, მე უკვე დიდი ხნის ნაფიქრი მაქვს. დიახ, არ უარვყოფ, რომ საარჩევნო კომისიაში წევრის დაბრუნება მინდა, მაგრამ კარგი იქნება, თუ ზაქროს ვაჟკაცობა ეყოფა და, ამ ყველაფერს პირადად მეტყვის. ცესკო-ში წევრის დაბრუნებით იმ მონოპოლიას დავარღვევთ, რაც ამჟამად კოალიციასა და ნაციონალურ მოძრაობას საარჩევნო კომისიაში აქვთ. აღიარე, ჩემო ზაქრო, რომ საარჩევნო ადმინისტრაციებში უმრავლესობა კვლავ ნაციონალურ მოძრაობას აქვს და შენი წყალობით, სწორედ ნაცმოძრაობის აქტივისტები არიან წინა პლანზე.**

— ზაქარია ქუცნაშვილს ნაცმოძრაობის წინა პლანზე წამოწევა რაში აწყობს?

— ალბათ იმიტომ, რომ ურეკში ბიძინა ივანიშვილი და დავით ბაქრაძე შეთანხმდნენ, თუ არჩევნებში მოგებას პირველივე ტურში „გამიპრავებ“, მეორე ადგილზე ნაციონალებს გაგიყვანთო... ამის უფლებას არავის მივცემთ.

სხვათა შორის, ერთ-ერთმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ინტერფრაქციული პარტიების შეხვედრაზე ზაქრო ქუცნაშვილს ჰკითხა, ბატონო ზაქრო, ეს რომ ნაცმოძრაობას გაეკეთებინა, ხომ გააკრიტიკებდითო? ზაქრომ ვერ უპასუხა. იგივე კითხვა მაქვს პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებით, რომელიც ახლა ხელოვნურად გააჩერეს. მსგავსი დამოკიდებულება კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რომ ზაქრომ ბევრი რამე არ იცის. სხვათა შორის, ძალიან არ მსიამოვნებს, როცა მასზე საკუთარი თანაგუნდელები ზურგსუკან საუბრობენ. წარმოიდგინეთ, სხდომაზე ზაქარია ქუცნაშვილთან გარკვეულ საკითხებზე შევთანხმდით, შემდეგ ბათუმში შევიკრიბეთ, სადაც კოალიციის დანარჩენმა წევრებმა მითხრეს, არ გვაინტერესებს ზაქროსთან რაზე შეთანხმდიო. მართლაც არ მომწონს კოალიციის შიგნით ქაოსი, რადგან ეს ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს.

— დაპირისპირების ფონზე, კიდევ ერთმა ინიციატივამ გაიჟღერა — უწყებათაშორისი კომისია თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის იუსტიციის სამინისტროს დაემორჩილება. არც ეს გადაწყვეტილება მიგაჩნიათ წინგადადგმულ ნაბიჯად?

— უწყებათაშორისი კომისია იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში რომ გადადის, ეს იმ ხელმოწერის მომენტში, ჩემო ზაქრო, არასაპარლამენტო პარტიის წევრებმა არ ვიცოდით. სხვათა შორის, ზაქარია ქუცნაშვილი ორი კვირის წინ გვიმტკიცებდა, საერთოდ, რა საჭიროა უწყებათაშორისი კომისია, ახლა სხვა საქართველოში ვცხოვრობთ და დამცავი მექანიზმებიც არ გვინდაო. დღეს კი, უსირცხვილოდ ამბობს, „ქართული ოცნების“ ინიციატივაა, კომისია იუსტიციის სამინისტროს დავუქვემდებაროთო. ხელისუფლებას, კვალიფიკაციის მხრივ, სერიოზული პრობლემა აქვს, რაშიც ბოლო სამი თვის განმავლობაში, მათთან აქტიური შეხების შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი. მაშინ, როცა პალიკო კუბლაშვილი პოლიტიკურად მოკვდა, მისი კლონი ზაქრო გაცოცხლდა! რაც შეეხება პარტიების დაფინანსების საკითხს, მაძღარი მშიერს ნამცეცებს უყრიდეს და ეძახდეს, რა ღორულად ჭამო — სწორედ ასეა ახალი კანონის საქმე. კოალიციაში შემავალი პარტიები გაძღნენ, დაფინანსება ყველას გაეზარდა და ახლა ჩვენ გვედავებიან ასი ათასი ლარით პარტიის დაფინანსებაზე. დღეს პარტიების ჯამური დაფინანსება 4,5 მილიონი ლარია. უმრავლესობის წევრები გვეუბნებიან, პარტია, რომელიც ბარიერს გადალახავს და ფრაქციას შექმნის, ბონუსის სახით 60 ათასი ლარს მიიღებსო ანუ 2 მილიონზე მეტს საპარლამენტო პარტიები თავად ინაწილებენ და ბონუსებსაც იმატებენ. ზაქრო ქუცნაშვილს ვკითხე, ლეიკემიით დაავადებულ რომელ ბავშვს აკლდება ეს ფულიმეთქი, როგორც ყოველთვის, პასუხი ვერ გამცა!

— თუ საარჩევნო კანონმდებლობაში მთელი რიგი დარღვევებია, სამართლიანი არჩევნების წინაპირობა არ იკვეთება და ურეკში ივანიშვილი ბაქრაძეს გაურიგდა, გამოდის, არასაპარლამენტო პარტიების საპრეზიდენტო კანდიდატები, მათ შორის გიორგი თარგამაძეც, წაგებულ ომში მიდიან?

— წინასწარმეტყველი არ ვარ... ვერ ვიტყვი, ოქტომბრამდე მოვლენები როგორ განვითარდება და რა როგორ იქნება, მაგრამ

> **ფაქტია, ვინც რეგიონებში ნაციონალური მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი იყო, ახლა „ქართული ოცნების“ დროშას აფრიალებს. ჩემო ძმაო, ზაქრო, შესაძლოა, როცა გვერდზე იხედები, ხელისუფლებაში ძველ სახეებს ვერ ხედავ, მაგრამ, აბა, დაბლა, ვერტიკალზე ჩაიხედე... აღმოაჩენ, რომ სტრუქტურები სრულად ძველი სახეებითაა დაკომპლექტებული. არასაპარლამენტო პარტიებმა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ საპრეზიდენტო არჩევნები პირველივე ტურში არ დამთავრდეს და მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი კი არა, ერთ-ერთი ჩვენგანი გავიდეს. ამის შემდეგ, მეორე ადგილზე გასულ არასაპარლამენტო კანდიდატს ყველამ უნდა დავუჭიროთ მხარი და თუ გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში დავამარცხებთ, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები სასწრაფოდ უნდა დავნიშნოთ. აი, ესაა არასაპარლამენტო ოპოზიციის ოთხპუნქტიანი გეგმა.**

— ამ სამოქმედო გეგმაზე ახალი მემარჯვენეები, დემოკრატიული მოძრაობა, თავისუფალი საქართველო, ლეიბორისტული პარტია, ქართული დასი და ქრისტიან-დემოკრატები უკვე საბოლოოდ შეთანხმდით?

— ჯერჯერობით, არა, მაგრამ თუ მოვლენები ამ სცენარით განვითარდება, ყველა ჩვენგანს გარკვეულ კომპრომისზე წასვლა მოუწევს. სხვათა შორის, როცა მმართველი გუნდი ამტკიცებს, რომ ადმინისტრაციულ რესურსს არჩევნებში არ გამოიყენებს, ამიხსენით, ხალხო, რა სტატუსით წარადგინა გიორგი მარგველაშვილმა განათლების ახალი მინისტრი, როცა ტიტრებში წერია, რომ ის საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატია?

— გიორგი მარგველაშვილმა განმარტა, რომ ბიძინა ივანიშვილისგან განათლების ახალი მინისტრის დამტკიცების თანხმობა მიიღო.

— რა ნდობაზე ვსაუბრობთ, ეს ნაბიჯი ადმინისტრაციული რესურსის უხეშად გამოყენება არ არის? სხვათა შორის, „ოცნებაში“ იმდენად პროფესიონალი იურისტები ჰყავთ, რომ არც კი იცოდნენ პრეზიდენტობის კანდიდატის თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ. ამ ადამიანებს ჩვენ გავაგებინეთ, რომ როცა თანამდებობის პირს არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გაცხადებული აქვს, ის არა მხოლოდ რეგისტრაციის მომენტიდან, არამედ არჩევნების თარიღის დანიშვნისთანავე უნდა გადადგეს დაკავებული პოსტიდან. ახლა, პირიქით, აქეთ დაგვაყვედრეს, კანონი არ გვავალდებულებს, მაგრამ გიორგი მარგველაშვილი თანამდებობიდან გადადგებაო. მართლაც, რა მაგარი ბიჭები არიან!

ვერსიანიუსი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები, სავარაუდოდ, ხელახლა ჩატარდება

საზოგადოებრივი მაუწყებლის აპარატში აცხადებენ, რომ ბორდის თავმჯდომარის არჩევნებზე კანდიდატებმა, ემზარ გოგუაძემ და ნატალია დვალმა, თანაბარი რაოდენობის, 5-5 ხმა მიიღეს. კანდიდატმა გიორგი მელაძემ კი, საკუთარი კანდიდატურა სხდომის დასაწყისშივე მოხსნა.

სხდომას ესწრებოდა სამეთვალყურეო საბჭოს 11 წევრი. ერთმა წევრმა ოთარ კობერიძემ ხმის მიცემის უფლება სახლში გამოიყენა. ბორდის ორმა წევრმა კი, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა. სამეთვალყურეო საბჭოს ამჟამინდელ თავმჯომარეს ლევან გახელაძეს უფლებამოსილების ვადა 1-ელ სექტემბერს ეწურება. უფლებამოსილების ვადა ასევე ეწურებათ ბორდის წევრებს: ოთარ კობერიძეს, ბაკურ სულაკაურს და ზაზა კორინთელს. საზოგადოებრივ მაუწყებელში ვერ აკონკრეტებენ, როდის გაიმართება ხელახალი არჩევნები.

„ინტერპრესნიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ერთად ძლიერები ვართ“ — ფონდი „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“ დაფუძნდა

17 ივლისს, „მარტინ დ. აბელოფის ლაბორატორია — კიბოს კვლევის ცენტრის“ ორგანიზებით, ახალი ფონდი „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“ დაფუძნდა. პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გაიმართა, რომელსაც ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ. ფონდის შექმნის მიზანი ონკოდაავადებულთა მხარდაჭერა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ბიზნესის დახმარებით, ონკოდაავადების პრევენციაა. ფონდის „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“ დირექტორად ნინო პერტენავა აირჩიეს.

ბიზნესმენების დახმარებით, ყველა ტიპის ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტირება დაფინანსდება!

პროექტის „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“ და ამავე სახელწოდების ფონდის შექმნის ორგანიზატორი პიარ-საკომუნიკაციო კომპანია „პერიტუს გრუპია“. ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოში სიმსივნით 8 000 ადამიანი გარდაიცვალა, კიბოთი დაავადებულთა რიცხვი კი 55%-ით გაიზარდა, ამჟამად ოფიციალურად 33 000 ადამიანია აღრიცხული, რომლებსაც სხვადასხვა ონკოლოგიური დაავადება აღენიშნებათ.

სტატისტიკა შემაშფოთებელია, რადგან სიკვდილის გამომწვევ დაავადებათა შორის, საქართველოში სიმსივნე რიგით მეორე დაავადებაა. აქედან გამომდინარე, კიბოს პრევენცია, პროფილაქტიკა და დაავადების ადრეულ სტადიაზე დიაგნოზის დასმა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. „მარტინ დ. აბელოფის ლაბორატორია — კიბოს კვლევის ცენტრში“ არსებული უნიკალური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და პროფესიონალი კადრები, ონკოლოგიური სპექტრის სრული მკურნალობის კურსის ჩატარების საშუალებას იძლევა.

ფონდი „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“ ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი ფენების იმ ონკოლოგიური დიაგნოსტიკის დაფინანსებას, რომელიც სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებით გათვალისწინებული არ არის. სპეციალისტების განმარტებით, თუ კიბოს დაავადებას ადრეულ სტადიაზე გამოავლენენ, უს უკურნებელი სენი აღარ იქნება, რადგან ამ შემთხვევაში, დაავადების განკურნების ალბათობა 100%-ით იზრდება. რაც მთავარია, ონკოდაავადების ადრეულ სტადიაზე გამოვლენისას, მკურნალობის ხარჯებიც გაცილებით მცირეა.

ფონდის „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“ დირექტორმა, **ნინო პერტენავამ** „ვერსიას“ განუცხადა, რომ საწყის ეტაპზე, ნებისმიერი ონკოლოგიური დაავადების დიაგნოსტირება დაფინანსდება: **„ეს ფონდი ახალი დაფუძნებულია. მართალია, ბევრი წევრი არ გვყავს, მაგრამ ბიზნესის წარმომადგენლები ყოველდღიურად, აქტიურად გვიერთდებიან. რაც უფრო მეტი შემომწირველი გვეყოლება, მით მეტ ადამიანს და კვლევას დავაფინანსებთ. ჩვენი საქმიანობა მხოლოდ დიაგნოსტირებით არ შემოიფარგლება, მაგრამ ამ ეტაპზე, ესაა ერთადერთი რგოლი, რომელიც ჰაერშია, არც ერთი სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს და ამიტომ ჩვენს თავზე ავიღეთ ეს პასუხისმგებლობა. დროული დიაგნოსტირება მნიშვნელოვანია, რადგან თუ პრევენციულ ზომებს დროულად მივიღებთ, პროცენტულად, გადარჩენის ბევრი შემთხვევა დაფიქსირდება. ვეცდებით, ამ პროექტით შევეხიდოთ სახელმწიფოს, რათა რაც შეიძლება მეტი ადამიანი გადარჩეს. ჯერ მხოლოდ 30-მდე კომპანია გვიდგას მხარში, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, ბიზნესმენების რიცხვი ყოველდღიურად მატულობს. ვფიქრობთ, საკმაოდ სოლიდური შემოწირულობა გვექნება, ფონდი კი ყოველი თვის ბოლოს, შემომწირველ ბიზნესმენებს ანგარიშს ჩააბარებს — რა გაკეთდა და რამდენი დაავადებულის დაფინანსება შევძელით. წლის ბოლოს კი ვრცელ ანგარიშს მოვამზადებთ“.**

ფონდი „ბიზნესი კიბოს წინააღმდეგ“, წლის განმავლობაში სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებას, წლის ბოლოს კი საქველმოქმედო მეჯლისს გამართავს. პიარსააგენტო „პერიტუს გრუპის“ კონსულტანტმა, **ელდარ პირმისაშვილმა** „ვერსიას“ განუცხადა, რომ ერთი წლის განმავლობაში, სააგენტო კამპანიური ხასიათის შეხვედრებს გამართავს, რომელიც ონკოლოგიურ დაავადებებს მიეძღვნება: **„გაიმართება საქველმოქმედო საღამოები, შეხვედრები, მომზადდება გადაცემები. რაც მთავარია, კონკრეტულად ძუძუს კიბოზე კი არა, ზოგადად, ონკოლოგიურ დაავადებებზე ვართ ორიენტირებულები. კარგია, რომ ბიზნესს სოციალური პასუხისმგებლობა აქვს და მზადაა, ამ პროცესში ჩაერთოს. ერთად ძლიერები ვართ და, ფაქტობრივად, ძალიან კარგ საქმესაც გავაკეთებთ“.**

ვი თი ბი ბანკის მარკეტინგისა და პიარის უფროსმა, გიორგი ბარკალაიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ მართალია, ბანკის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია, მაგრამ, სავარაუდოდ, ამ პროცესში ჩაერთვებიან და ფონდსაც დაეხმარებიან. „ისი პარის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ხატია შამუგია კი ამბობს, რომ ეს პრობლემა ყველა ნორმალურ ადამიანს გულთან ახლოს მიაქვს, მით უმეტეს, ქალს. ხატია შამუგიამ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ საორგანიზაციო საკითხებში ჩართულ ადამიანებს ბრმად ენდობა და, შესაბამისად, „ისი პარი“ ფონდთან აქტიურად ითანამშრომლებს.

„ვულე ვუს“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა, ნინო ნოდიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ „რედისონში“ გამართულ პრეზენტაციაზე ის თავისი ორგანიზაციის ელჩია, მაგრამ „ვულე ვუ“ ამ პროცესში აუცილებლად ჩაერთვება. ნინო ნოდიას თქმით, ფონდის საქმიანობა მნიშვნელოვანია, რათა გენი გაჯანსაღდეს და ონკოლოგიურ დაავადებათა პრობლემები საწყის ეტაპზევე აღმოიფხვრას.

ევროპა კრიზისის დაძლევას ცდილობს

გასულ კვირას საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მსოფლიო ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი კიდევ ერთხელ შეამცირა. წელს ეკონომიკური ზრდა 3,1% იქნება, ნაცვლად დაგეგმილი 3,3%-ისა. მომავალ 2014 წელს — გლობალური მთლიანი შიდა პროდუქტი მხოლოდ 3,8%-მდე გაიზრდება, ნაცვლად 4%-ისა.

მთავარ პრობლემად კვლავ რჩება ევროპა მაშინ, როდესაც იაპონიისა და ამერიკის ეკონომიკა წელს 2 და 1,7%-ით გაიზრდება. ამასთან, ევროპაში მიმდინარე წელი მთლიანი შიდა პროდუქტის 0,6%-იანი კლებით დასრულდება. ამ სტაგნაციური ვითარებიდან გამოსასვლელად კი, უფრო მეტს ლაპარაკობენ გარდაუვალ ფინანსურ ლიბერალიზაციაზე.

ქამრების შემოჭერის პოლიტიკამ ევროპაში, რიგ დადებით შედეგებთან ერთად, ეკონომიკური განვითარების შეჩერება გამოიწვია, გაიზარდა უმუშევრობის დონე და სოციალური დაძაბულობა. კრიზისში მყოფი ეკონომიკის სტიმულირებისთვის ცენტრალურმა ბანკმა ცოტა ხნის წინ შეამცირა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, მაგრამ ამან განსაკუთრებული ეფექტი ჯერჯერობით ვერ იქონია.

შერბილებული ფინანსური პოლიტიკის მომხრეები ევროს დევალვაციას მიიჩნევენ ეკონომიკის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად. მათი აზრით, იაფი ევროს პირობებში ექსპორტი გამოცოცხლდება, ხოლო შიდაბაზარი უფრო დაცული გახდება მზარდი იმპორტის ფონზე. ევროს კურსის ხელოვნურად დაწევაზე კარგა ხანია მსჯელობენ, მაგრამ ამის პრაქტიკაში განხორციელება არცთუ იოლია. რეგიონში გატარებულმა რეფორმებმა იმდენად გაამყარა ვალუტა, რომ ევროს დასუსტებას ნამდვილად დიდი ძალისხმევა დასჭირდება, ყველა ხვდება რომ ფულის საბეჭდი მანქანის ჩართვის გარეშე, არაფერი გამოვა.

ცნობილია, რომ ფულადი ემისიის პოლიტიკის გატარების ხარჯზე, ამერიკასა და იაპონიაში უკვე იგრძნობა ეკონომიკის გარკვეული გამოცოცხლება. ამერიკაში მინიმუმ, ამ წლის ბოლომდე გეგმავენ ყოველთვიურად 85 მილიარდი სახელმწიფო ობლიგაციების შესყიდვის გაგრძელებას, ხოლო იაპონიაში, სადაც მთავარი ამოცანა ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკის სტიმულირება და კონკურენტუნარიანობის გაზრდაა, ამგვარმა პოლიტიკამ დადებითი ეფექტი უკვე მოიტანა.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

სემეკის თავმჯდომარის პოსტზე დამოუკიდებელი კანდიდატი შეირჩევა

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის პოსტზე სრულიად დამოუკიდებელი კანდიდატი შეირჩევა, — აცხადებს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე.

მინისტრის თქმით, სემეკ-ის თავმჯდომარეს არც თავად შეარჩევს და არც რომელიმე სხვა პოლიტიკური თანამდებობის პირი, ვინაიდან, კომისიას აპოლიტიკურმა პირმა უნდა უხელმძღვანელოს: **„ჩვენი მიზანია, ჩამოვაყალიბოთ ძლიერი ორგანო, რომელიც ენერგეტიკის სექტორის გაძლიერებას დაეხმარება“.**

სემეკ-ის მოქმედ თავმჯდომარეს გურამ ჩალაგაშვილს თანამდებობაზე ყოფნის ვადა აგვისტოში ეწურება.

„ინტერპრესნიუსი“

მობილურ ოპერატორებს 6 თვის შემოსავლებისა და ხარჯების დეტალური ინფორმაციის წარდგენა დაევალათ

კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ სამივე მობილურ ოპერატორს გასული 6 თვის შემოსავლების და ხარჯების დეტალური ინფორმაციის წარდგენა დაავალა. საქმე ეხება „კავკასიის ციფრული ქსელების“ მიერ კომისიაში შეტანილ საჩივარს. კომპანიის განმარტებით, მობილური ოპერატორები დისკრიმინაციული აკრძალვის ვალდებულებას არღვევენ და საბითუმო ბაზარზე საცალო შესყიდვებზე მაღალ ტარიფებს აწესებენ.

კომისიის გადაწყვეტილებით, კომპანიებმა 3 თვის ვადაში ოფიციალური, აუდიტორების მიერ შემოწმებული და ხელმოწერილი დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ, რომლის ანალიზის საფუძველზე მოხდება მსჯელობა, არღვევენ თუ არა კანონს მობილური ოპერატორები.

„კომერსანტი“

აშშ-მ სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს

აშშ სენატორის ლინდსი გრემის განცხადებით, თუ რუსეთი ედუარდ სნოუდენს პოლიტიკურ თავშესაფარს მისცემს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სოჭის ოლიმპიადას ბოიკოტი უნდა გამოუცხადოს.

კონგრესის ოფიციალურ გაზეთთან ინტერვიუში ლინდსი გრემიმ განაცხადა, რომ რუსეთისგან ამგვარი ნაბიჯი აშშ-სთვის სილის გაწვნის ტოლფასი იქნება: **„ბოიკოტი ნამდვილად მოახდენს გავლენას რუსეთზე, რომლის ამჟამინდელი საქციელი აღმაშფოთებელია. არანაირი „გადატვირთვა“ არ გამოვიდა. დადგა დრო, პრინციპულად ვიმოქმედოთ“.**

„ნიუსპრესი“

თამარ სანიკიძე მარგველაშვილის კურსს გააგრძელებს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

რა პროექტებს განახორციელებს სამინისტროში განათლების ახალი მინისტრი

საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი მალე წინასაარჩევნო კამპანიაში ჩაერთვება, მანამდე კი, განათლების მინისტრის პორტფელზე თქვა უარი და საზოგადოებას მემკვიდრეც წარუდგინა — თავისი პირველი მოადგილე თამარ სანიკიძე. განათლების ახალი მინისტრი მარგველაშვილმა ამგვარად დაახასიათა: **„თამარ სანიკიძე იმ ინსტიტუტში სწავლობდა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობდი. მას განათლება მიღებული აქვს ამერიკის სხვადასხვა უნივერსიტეტში. მუშაობდა „ჯიპაში“, ასევე ურბანულ ინსტიტუტში. განათლების სისტემაში ცვლილებებს ერთად ვგეგმავდით და ვახორციელებდით. მას აქვს უმწიკვლო ბიოგრაფია და სერიოზული მიღწევები მენეჯმენტის მიმართულებით. კანონები, რომლებიც ბოლო პერიოდში პარლამენტში გადიოდა, მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა. თამარ სანიკიძემ შეძლო, ძალიან ეფექტურად ემუშავა როგორც საპარლამენტო უმრავლესობასთან, ასევე უმცირესობასთან. მე მისი კანდიდატურა წარვუდგინე პრემიერ-მინისტრს და მისგან თანხმობა მივიღე“.**

გიორგი მარგველაშვილმა საზოგადოებას მისი მინისტრობის დროს განათლების სისტემაში გატარებული ცვლილებებიც გააცნო. კერძოდ: **„პირველი მნიშვნელოვანი ცვლილება — განათლებისა და მეცნიერების სისტემის დეპოლიტიზაციაა. გაიზარდა მასწავლებლების ხელფასები 25-დან 60%-მდე. ხელფასები მოემატა სკოლის ადმინისტრაციის თანამშრომლებსაც. განხორციელდა სასკოლო ავტობუსების პროგრამა. 16 000 ბავშვს აღარ უწევს სკოლამდე მისასვლელად ყოველდღე კილომეტრების გავლა. შევქმენით უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა. სექტემბერში ყველა ბავშვს მერხზე წიგნები დახვდება, რაც მშობლებისთვის ფინანსური შეღავათია. ყოველი 1-ლი სექტემბერი აღარ უნდა გახდეს მშობლისთვის ფინანსური კატასტროფის დღე. ასევე, დაფუძნდა ახალი პროგრამა, რომლის მიხედვითაც პროფესიულ სასწავლებლებში 15 000 ბავშვი უფასოდ ისწავლის. უნივერსიტეტებში 17 მიმართულებაზე სწავლა უფასო გახდა, გაორმაგდა სტუდენტების დაფინანსება მაგისტრატურის, სოციალური დაზღვევისა და სახელმწიფოს სტიპენდიების მიმართულებით. ბოლო პერიოდის განმავლობაში პირველად დაფინანსდა დოქტურანტურა. დაიწყო 8 სკოლის მშენებლობა, 600 სკოლას კი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება. ამერიკის მთავრობასთან ერთად, მოვამზადეთ პროექტი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში 140 მილიონი დოლარი ჩაიდება. განხორციელდა ცვლილება სახელმწიფო უნივერსიტეტებთან დაკავშირებით. მის საფუძველზე დაცული იქნება სახალხო ქონება და აღარასდროს მოხდება უმაღლესი სასწავლებლების ქონების გასხვისება. ასევე ცვლილება განხორციელდა სახელფასო ბადესთან მიმართებაში. მომავალი წლიდან, დაფინანსებაში ამოსავალი პროფესორის ხელფასი იქნება. პროფესორები მიიღებენ შესაბამის ანაზღაურებას, რაც აამაღლებს უმაღლეს სასწავლებლებში კვლევებისა და სწავლების ხარისხს. ვიწყებთ დოქტორანტების დაფინანსებასაც. მნიშვნელოვანია, რომ აღვადგენთ დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტს. სიამაყით ვაცხადებ, რომ ფსიქოლოგის ინსტიტუტი საქართველოში აღდგება, რომელიც ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დასაწყისია და მისი ინსტიტუტის დახურვა სამეცნიერო ვანდალიზმი იყო“.**

გიორგი მარგველაშვილმა იმის პირობაც დადო, რომ არც ერთ რექტორს უფლებამოსილება არ შეუწყდება. განათლების ახალი მინისტრი თამარ სანიკიძე კი, განათლების სისტემაში გიორგი მარგველაშვილის მიერ დაწყებული კურსის შეცვლას არ აპირებს: **„რეფორმების პერიოდში ეს ყველაფერი კიდევ უფრო დაიხვეწება. საზოგადოება ჩართული იქნება პროცესში და გავითვალისწინებთ ხალხის აზრს. სახელმძღვანელოებთან ერთად, პირველკლასელებს მერხზე კომპიუტერები დახვდებათ, რომელიც შინაარსით განახლებულია. ამ კომპიუტერებს დანიშნულებისამებრ, ოპტიმალურად გამოვიყენებთ — ჩართული იქნება ქსელსა და ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ჩვენი მუშაობა ინფრასტრუქტურული პროექტებით არ სრულდება, აუცილებლად გადავხედავთ ეროვნულ სასწავლო გეგმასაც“.**

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს განათლების მინისტრის პირველი მოადგილის პოსტს, არც უკვე ყოფილი და არც ახალი მინისტრი სანიკიძის მემკვიდრის ვინაობას არ ახმაურებს.

„პარლამენტის წარუმატებლობის მიზეზი მისი შემადგენლობაა“

რატომ მოითხოვს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აღექსანდრე შარამბერიძე

მერაბ ბერიძე
599-45-50-26

საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება, ამავე ადგილას „ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელ მდგომარეობაში ყოფნა“ 300 ლარით, განმეორებით შემთხვევაში კი — 500 ლარით დასჯადი ხდება. შს სამინისტრომ პარლამენტს „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ გადახედვის წინადადებით მიმართა და კანონში კონკრეტული ფულადი ჯარიმების განსაზღვრის ინიციატივით გამოვიდა. ახალი პარლამენტის საქმიანობის „შუქ-ჩრდილებზე“ „ვერსია“ ექსდეპუტატს, პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, ალეკო შალამბერიძეს ესაუბრა.

— თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რამდენად პროდუქტიულია დღევანდელი პარლამენტის მუშაობა?

— ახალი პარლამენტი, გარკვეული წარმატებებისა და წარუმატებლობის მიქსია. წარმატებად შეგვიძლია განვიხილოთ პოლიტიკური პატიმრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, წარუმატებლობაა კი თუნდაც ის თემა, რომელიც ახლა მუშავდება და ჯარიმების გამკაცრებას ეხება. ასეთივეა ყბადაღებული პრეზერვატივების თემა... მთლიანობაში, ქართული საზოგადოებისთვის პარლამენტის მუშაობა მომგებიანი არ არის.

— წარუმატებული ნაბიჯების მიზეზი რა არის?

— პირველ რიგში, პარლამენტის შემადგენლობა. ყველას ახსოვს, როგორ იწუწუნა პარლამენტის თავმჯდომარემ პრემიერთან, რომ აკლიათ იურისტები, გამოცდილი პოლიტიკოსები, პროფესიონალები... ვფიქრობ, ეს წარუმატებლობის სერიოზული მიზეზია.

— ამ ფონზე, პრიორიტეტი რა უნდა იყოს და ყურადღება რაზეა გასამახვილებელი?

— მტკივნეული საკითხია მაგალითად, ბანკებისა და მევახშეებისგან დაზარალებულებისთვის მორატორიუმის გამოცხადება; ქვეყანაში უმუშევრობის საკითხების გადაწყვეტა უდიდესი გამოწვევაა, ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული პრობლემებიც გვაქვს, მტკივნეულია საარჩევნო კოდექსის საკითხი — უკვე ერთი შუალედური არჩევნები ჩატარდა, ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები და კოდექსში არაფერი გამოსწორებულა. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ძალა სამართლიანი კრიტიკით გამოდიოდა, როცა ოპოზიციაში იყო, ახლა კი ჩუმად არიან და ვითარების გაუმჯობესებას არ ჩქარობენ... უამრავი რამაა გამოსასწორებელი, რაზეც აქცენტების გაკეთება პარლამენტს ბევრად ქმედუნარიანს გახდიდა, ვიდრე ისეთ თემებზე კონცენტრირება, რაც მოსახლეობის ფართო ფენებს არ აღელვებს. კოცნა-პრეშნაზე ჯარიმა 500-მდე გაიზრდება თუ 700-მდე, ეს, რეალურად, არავის აინტერესებს და ამ რეალობას ანგარიში უნდა გაუწიონ.

— შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ხომ არაა აუცილებელი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება?

— ვადამდელი არჩევნების ჩატარება აუცილებელია, მაგრამ ამის მიზეზი ისაა, რომ პირველი ოქტომბრის კენჭისყრა იყო რეფერენდუმი — უნდოდა თუ არა მოსახლეობას, ხელისუფლების სათავეში ნაციონალური მოძრაობის დარჩენა? საქართველოს მოსახლეობამ ეს პრობლემა წარმატებით გადაწყვიტა, ახლა კი სხვა გამოწვევების წინაშე ვდგავართ — საჭიროა ახალი პარლამენტი, სადაც წარმოდგენილი იქნება რეალური ოპოზიცია და არა ნაცმოძრაობის დისკრედიტირებული ბანდა, რომელიც თავს ოპოზიციას უწოდებს და ამგვარად სურს თავისი დანაშაულებრივი ქმედებების დაფარვა. ამიტომაა საჭირო საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რათა მოსახლეობის რეალური განწყობა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უკეთ აისახოს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ევროპარლამენტის დელეგაციას შეხვდა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ევროპარლამენტის დელეგაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს ეწვია.

17 ივლისს გაიმართა შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრა ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავდაცვისა და უშიშროების ქვეკომიტეტის დელეგაციის წევრებთან: არნო დანჟანთან (თავმჯდომარე, ევროპელ ხალხთა პარტია – საფრანგეთი), კრჟიშტოფ ლისეკთან (ევროპის სახალხო პარტია – პოლონეთი), ანა გომესთან (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი – პორტუგალია), ტერესა რიერა მადურელთან (სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსი – ესპანეთი) და პაველ კოვალთან (ევროპის კონსერვატორები და რეფორმისტები – პოლონეთი). შეხვედრას ასევე ესწრებოდა საქართველოში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი ფილიპ დიმიტროვი.

შეხვედრაზე მხარეებმა განიხილეს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, შს სამინისტროში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები. საუბარი ასევე შეეხო ქვეყნის ევროინტეგრაციის საკითხებს.

„ვერსიანიუსი“

კრიმინალურ გარჩევებს, „საბას“ შემდეგ, „აკვაპარკიც“ შეეწირა?

მაია მიშელაძე
593-51-90-12

თბილისის აკვაპარკში ხანძარი 16 ივლისს, საღამოს გაჩნდა. სამი შენობა დაიწვა, რომლებიც ერთმანეთისგან ბილიკებითაა დაშორებული. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება. არსებობს ხანძრის გამომწვევი რამდენიმე ვერსია, რაზეც სავარაუდოდ, გამოძიება მუშაობს. თბილისის აკვაპარკი შპს „ევროპარკის“ დამფუძნებელმა, ბიზნესმენმა აკაკი სულხანიშვილმა ააშენა. როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, აკაკი სულხანიშვილს ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნები, კერძოდ, იუსტიციის ექსმინისტრი, ზურაბ ადეიშვილი აშანტაჟებდა. თბილისის აკვაპარკის შემდეგ, ადეიშვილმა მუქარის გამოყენებით აიძულა სულხანიშვილი, აკვაპარკები თელავში, ქუთაისში, ბათუმსა და ანაკლიაშიც აეშენებინა.

ვინ არის ობიექტის მფლობელი და როგორ აშანტაჟებდა მას ზურაბ ადეიშვილი?

ვინ არის „ევროპარკის“ დამფუძნებელი ბიზნესმენი?

თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, თელავსა და ლაზიკაშიც აკვაპარკები კომპანია „ევროპარკმა“ ააშენა. კომპანიის დამფუძნებელია ბიზნესმენი აკაკი სულხანიშვილი, მეტსახელად „ფეფე“, რომელიც წლების განმავლობაში რუსეთში ცხოვრობდა და საკუთარი ბიზნესიც ჰქონდა. 2005 წელს საქართველოში დაბრუნდა და ყოფილი ტრიკოტაჟის ქარხნის ტერიტორია შეიძინა. სულხანიშვილს სურდა, ამ ადგილზე დიდი სავაჭრო ცენტრი აეშენებინა, სადაც აკვაპარკიც განთავსდებოდა, საბოლოოდ კი, მხოლოდ აკვაპარკის პროექტი განახორციელა.

თბილისის აკვაპარკის აშენების შემდეგ ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებს იდეა გაუჩნდათ, სულხანიშვილს აკვაპარკები ბათუმში, ქუთაისსა და თელავშიც აეშენებინა. ბიზნესმენი იხსენებს, რომ აკვაპარკების მშენებლობა, ჯამში, 12 000 000 აშშ დოლარი დაუჯდა: **„ვიცოდი, თელავის აკვაპარკის მშენებლობა წამგებიანი პროექტი იქნებოდა, მაგრამ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებულ აუქციონში მონაწილეობა მაინც მივიღე და უძრავი ქონება შევიძინე. ობიექტში 1 800 000 აშშ დოლარის ინვესტიცია უნდა ჩამედო და აკვაპარკი ამეშენებინა. მშენებლობა დაწყებული მქონდა, როცა ჩემს კუთვნილ ტერიტორიაზე უცხო პირები მოვიდნენ და გამომიცხადეს, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლები ვართო. იმის გამო, რომ დამადასტურებელი დოკუმენტი ვერ წარმომიდგინეს, შევკამათდით და... პოლიციელისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შემიფარდეს. გლდანის ციხეში თვენახევარი გავატარე. ბოლოს გირაო — 50 000 ლარი გადავიხადე და გამომიშვეს. დამპირდნენ, როცა თელავის აკვაპარკის მშენებლობას დაასრულებ, საქმესაც დავხურავთო“.**

თელავის აკვაპარკის მშენებლობის დასრულების შემდეგ, სულხანიშვილს აცნობეს, რომ იუსტიციის მინისტრი, ზურაბ ადეიშვილი განმუხურში იბარებდა. ადგილზე ჩასულს, ადეიშვილთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზიაც დახვდა, რომლებმაც პირდაპირ უთხრეს, რომ მორიგი აკვაპარკი ანაკლიაში აეშენებინა. სულხანიშვილს აკვაპარკის ასაშენებელი თანხა არ ჰქონდა, მაგრამ ადეიშვილმა შეახსენა, რომ გირაოს სანაცვლოდ იყო გათავისუფლებული და დაემუქრა, ციხეში დაგაბრუნებო: **„სამ დღეში ისევ დამირეკეს და ღამის 12 საათზე, იუსტიციის სამინისტროში დამიბარეს. ადეიშვილმა ანაკლიის აკვაპარკის მშენებლობა შემახსენა. ვუთხარი, იმ შემთხვევაში ავაშენებ, თუ დამაფინანსებთ-მეთქი. 2 000 000 აშშ დოლარი მოვითხოვე. ორ დღეში დამირეკეს და მითხრეს, ფულს მოგცემთ, მაგრამ პროექტი შეიცვალა და 26-მეტრიანი ანძა, ანუ წყლის ატრაქციონიც უნდა ააშენოო. ასეთი სიმაღლის წყლის ანძა მსოფლიოში არ არის და თუ ავაშენებდით, მხოლოდ უსაფრთხოების მიზნით, ექსპერტების საფუძვლიანი დასკვნის შემდეგ, რაც შევუთვალე კიდეც ადეიშვილს“.**

თბილისის, თელავისა და ანაკლიის შემდეგ, ადეიშვილის ზეწოლის შედეგად, აკაკი სულხანიშვილმა აკვაპარკები ბათუმსა და ქუთაისშიც ააშენა. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების მერე კი, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნებმა, ბიუჯეტიდან 17 000 000 ლარი გამოყვეს, რათა ლაზიკაში „აკვალაზიკა“ აშენებულიყო.

რატომ დაიწვა თბილისის აკვაპარკი?

შპს „ევროპარკი“ ოფიციალურად, 2005 წლის 3 ივნისს, საქართველოში რუსეთიდან დაბრუნებულმა ბიზნესმენმა აკაკი სულხანიშვილმა დააფუძნა. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი 202267983-ია. თავდაპირველად, კომპანიის დირექტორი ნოდარ სულხანიშვილი იყო შეზღუდული უფლებამოსილებით, ხოლო 100%-იან წილს, კვიპროსში დარეგისტრირებული შპს „ნომინანტები“ S. I. CYLOW SERVICES ფლობდა. 2011 წელს, სამეწარმეო რეესტრში ცვლილებები განხორციელდა, შეიცვალა შპს-ს დირექტორი, დამფუძნებელი და წილის მფლობელი. შედეგად, „ევროპარკის“ დირექტორი ნოდარ კბილაშვილი, ხოლო დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი, ისევ კვიპროსში დარეგისტრირებული სხვა კომპანია KRIPTON MANAGEMENT LIMITED გახდა.

სამეწარმეო რეესტრში ბოლო ცვლილება 2013 წლის 2 აპრილს შევიდა და შპს-ს დირექტორი იოსებ შავიშვილი, ხოლო დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი ისევ კვიპროსში დარეგისტრირებული კომპანია KRIPTON MANAGEMENT LIMITED-ია. „ვერსიამ“ ერთ-ერთ საიტზე (http://www.hoovers.com) მიაკვლია, რომ უცხოური კომპანია KRIPTON MANAGEMENT LIMITED კვიპროსში კი არა, მოსკოვში, რუბლიოვსკას გზატკეცილზე მდებარეობს.

სააგენტოების მიერ გავრცელებული ერთ-ერთი ვერსიით, თბილისის აკვაპარკი იმიტომ დაიწვა, რომ მფლობელებს დაზღვევის თანხა მიეღოთ — შპს „ევროპარკი“, ხანძრის გაჩენამდე რამდენიმე დღით ადრე დააზღვიეს. ამ ვერსიას ის ფაქტიც ამყარებს, რომ შპს „ევროპარკის“ მფლობელს, თბილისში, ბათუმში, თელავში, ქუთაისსა და ანაკლიაში აკვაპარკები ადეიშვილმა შანტაჟით ააშენებინა. სულხანიშვილს საკმარისი თანხა აღარ ჰქონდა, რის გამოც მიწის იჯარის გადასახადსაც ვეღარ იხდიდა. რაც მთავარია, აკვაპარკებს დიდი მოგება არ მოაქვს. მართალია, სეზონზე, დღის განმავლობაში ბევრი სტუმარია, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. მოგვიანებით, ეს ვერსია არ დადასტურდა, რადგან ოფიციალურად გაირკვა, რომ შპს „ევროპარკი“ უკვე ხუთი წელია, „ალდაგი ბი სი აი“-შია დაზღვეული, რაც სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს.

მეორე ვერსიით, თბილისის აკვაპარკში ხანძარი მართლაც მფლობელების ბრალია, ოღონდ იმ მიზნით, რომ კომპანიის კუთვნილი დოკუმენტები გაენადგურებინათ. ასეთ ხერხს სხვადასხვა შპს-ს დამფუძნებელი მაშინ მიმართავს, როდესაც ბუღალტერია წესრიგში არ აქვს, მაგრამ ეს ვერსიაც საფუძველსაა მოკლებული — ოფიციალურად დადგინდა, რომ თბილისის აკვაპარკში ხანძარი ერთდროულად რამდენიმე ადგილზე გაჩნდა. დოკუმენტების განადგურების მიზნით კი, სრულიად საკმარისი იქნებოდა, მხოლოდ ერთი საწყობი, ან ადმინისტრაციული შენობა დამწვარიყო. აქედან გამომდინარე, საეჭვოა, შპს-ს მფლობელებს ხანძარი საკუთარი სურვილით გაეჩინათ.

მესამე ვერსიით, თბილისის აკვაპარკი შპს „ევროპარკის“ მფლობელებს მიზანმიმართულად დაუწვეს. ამ ვერსიას არ გამორიცხავს, აკვაპარკის ადვოკატიც. სულ ცოტა ხნის წინ, იმავე რაიონში (დიდუბე-ჩუღურეთი), სავაჭრო სახლი „საბა“ დაიწვა. მოგვიანებით დადგინდა, რომ „საბა“ შეგნებულად გადაწვეს, რათა მფლობელებისთვის ფინანსური და მატერიალური ზიანი მიეყენებინათ. ამჯერად თბილისის აკვაპარკი დაიწვა. სავაჭრო სახლ „საბასა“ და თბილისის აკვაპარკის ხანძარს ერთი და იგივე ხელწერა აქვს. გამორიცხული არ არის, რომ წილების გადანაწილების მიზნით, ორივე ობიექტის მფლობელები კრიმინალური გარჩევის მსხვერპლად იქცნენ.

საზოგადოება

რეპორტაჟი გადამწვარი აკვაპარკიდან

„ხანძარი რომ არ გაჩენიდიყო, ობიექტის ადმინისტრაციის წინააღმდეგ საჩივრის შეტანას ვაპირებდით“

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

თბილისური ბომონდის თავშეყრის ერთ-ერთი ადგილს ცეცხლი გაუჩნდა. ჯერ ღია კაფე დაიწვა, შემდეგ კი, ცეცხლი ობიექტის სხვა ნაწილზეც გავრცელდა. აკვაპარკი ცეცხლის ალში დაახლოებით, 3 საათი იყო გახვეული, ადგილზე კი 20-მდე სახანძრო მანქანა მუშაობდა. წინასწარი ინფორმაციით, ხანძარი ელექტროგაყვანილობამ გამოიწვია, მის გავრცელებას კი ხელი ქარმაც შეუწყო. ცეცხლი გავრცელდა ახლომდებარე დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის სახურავზეც. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, რა მდგომარეობაშია აკვაპარკის ტერიტორია და დევნილთა საცხოვრებელი.

ადგილზე მისვლისას აღმოვაჩინეთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ხანძარმა დევნილთა საცხოვრებელი კორპუსის სახურავი მთლიანად გაანადგურა, სიმართლეს არ შეესაბამება; გავარკვიეთ ისიც, რომ დევნილები, ტრიკოტაჟის ფაბრიკის ყოფილი შენობიდან უკვე კარგა ხანია გამოასახლეს და იქ მხოლოდ ხვიჩა სახელაშვილის ოჯახია დარჩენილი. ისინი შენობას არ ტოვებენ, მიუხედავად იმისა, რომ დემონტაჟი დღემდე მიმდინარეობს. ხვიჩა სახელაშვილი ფაბრიკის მფლობელის ნათელმირონია და აქ დროებითი თავშესაფარი იპოვა. მან ხანძრის გაჩენის მიზეზების შესახებ, საუბარი არ ისურვა.

„აკვაპარკის“ ადმინისტრაცია ადგილზე არ დაგვხვდა, დაცვამ კი მხოლოდ ის გვითხრა, რომ ხანძრის გაჩენამდე ნახევარი საათით ადრე, მფლობელი ბათუმში წავიდა. აალების შესახებ ინფორმაცია ტელეფონით მიაწოდეს და მაშინვე დაბრუნდა. მეორე დღეს, ყველა თანამშრომელი სახლში გაუშვეს. მფლობელი კი კვლავ ბათუმში წავიდა. დაცვამ ტერიტორიის დათვალიერების უფლება არ მოგვცა, ამიტომ გადავწყვიტეთ, ტრიკოტაჟის ფაბრიკის სასწავლო ცენტრის მე-3 სართულიდან დაგვეთვალიერებინა აკვაპარკის ტერიტორია. პარკი თითქმის მთლიანად განადგურებულია. მხოლოდ რკინის კონსტრუქციებია შემორჩენილი. იქვე მცხოვრებმა ბავშვებმა გვითხრეს, კრიმინალისტები რომ მუშაობდნენ, საუბარს მოვკარით ყური, ბუნგალოში მაგიდის ქვეშ ვიღაცას რაღაც დარჩენია ჩართული და ხანძარი იმიტომ გაჩნდაო.

აკვაპარკის ადმინისტრაციის მიმართ უკმაყოფილებას არ მალავენ უფროსები. ქალბატონმა ნანამ, რომელიც ობიექტის მიმდებარედ ცხოვრობს, გვითხრა:

— ეს ჭიშკარი მეხანძრეებმა გატეხეს. ჩვენი ბავშვები რომ არ შესულიყვნენ, დილას, ჭიშკარ ფიცრებით ჩაკეტეს. აქ სულ გაჭირვებული ხალხი ვცხოვრობთ. იმის ფული არ გვაქვს, აკვაპარკში ვიაროთ. ნაპერწკალი გადმოვარდა... განადგურებული შენობის სახურავზე, ერთ ადგილას ხავსია მოდებული. იმას წაეკიდა ცეცხლი და ეგონათ, ფაბრიკის შენობაც იწვოდა.

— რას ამბობენ, ხანძარი რამ გამოიწვიაო?

— არ ვიცი, შვილო. ბამბუკით, ჩალითა და პლასტმასით იყო აქაურობა აშენებული... სწრაფად აალება რომ მოხდა, არც მიკვირს. მეხანძრეები სამი საათის განმავლობაში ცდილობდნენ ცეცხლის ჩაქრობას. ჩვენს კორპუსსაც რომ არ მოედო ცეცხლი, მათი დამსახურებაა — იმარჯვეს. წყლის ჭავლით კორიდორი გააკეთეს და გადაგვარჩინეს. ისე, გამოგიტყდებით, ეს ამბავი რომ არ მომხდარიყო, მეზობლები, საჩივრის შეტანას ვაპირებდით გამგეობაში.

— აკვაპარკის მფლობელებთან რა პრეტენზია გქონდათ?

— სამი, ლოგინადჩავარდნილი ავადმყოფი გვყავს ბინაში. ერთი ახალგაზრდა ბიჭი დაჭრეს და სამი თვეა კომაშია, აპარატზეა მიერთებული. უნდა ახლა მის მშობლებს, დილიდან საღამომდე ჯაგაჯუგის მოსმენა? შეწუხებულები ვართ. მიცვალებული გვყავდა. ჭირისუფლები რამდენჯერმე ჩავიდნენ და სთხოვეს, გამოერთოთ მუსიკა. ბოლოს, როგორც იქნა, დაგვდეს პატივი — მხოლოდ გასვენების დღეს გამორთეს მუსიკა, რამდენიმე საათით. ოღონდ ფული იშოვონ და მოსახლეობა არავის ედარდება. ამიტომ ვაპირებდით ჩივილს, მაგრამ ახლა რაღა აზრი აქვს, გადაიწვა ყველაფერი.

— თუ ასეა, შეიძლება ხანძარი რომელიმე მეზობელს განგებ გაეჩინა?

— არა მგონია. ცეცხლი ბუნგალოდან გავრცელდა. ვინმე, გამწარებულ მეზობელს მისი დაწვა რომ ნდომებოდა, გარედან წაუკიდებდა და 30 ლარს, იქ შესასვლელად, ნამდვილად არ გადააგდებდა.

ქართველი ექსპერტები იშხნის აღდგენაზე იმუშავებენ

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მეოთხე ხელისუფლების წარმომადგენლებს აუწყა, რომ ტელეფონით თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯეფ ტაიპ ერდოღანს ესაუბრა. მათ მოილაპარაკეს — ან იურიდიული საკითხების მოწესრიგებამდე ქართველ ექსპერტებს დაუშვებენ იშხანში, რათა იმუშაონ აღდგენაზე, ან აღდგენა შეჩერდება მანამ, სანამ ქართველების დასკვნა არ იქნება: **„მე შევატყობინე კულტურის სამინისტროს, რომ ისინი უფრო აქტიურად უნდა მუშაობდნენ იურიდიული ფორმების მონახვაზე იმიტომ, რომ, მაგალითად, რაბათში გუმბათის დანგრევა და რაღაც დამახინჯება არ უნდა იყოს მოლაპარაკების საგანი, იმდენია ქვეყანაში ასაშენებელი... თურქეთის პრემიერ-მინისტრი იყო ძალიან გახსნილი, ძალიან კონსტრუქციული, ოღონდ საჭიროა, უფრო მეტი მუშაობა“.**

იშხანზე განხორციელებული სამუშაოების მოსანახულებლად თურქეთში უკვე გაემგზავრა ექვსკაციანი დელეგაცია. კულტურის სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტის დირექტორის, ბესიკ მაცაბერიძის თქმით, ეს იქნება ტაძარზე განხორციელებული სამუშაოების შეფასებითი ვიზიტი. დელეგაცია იშხანში ადგილობრივ კოლეგებს შეხვდება. მათ რეკომენდაციებსა და შენიშვნებს გაუზიარებენ და სამომავლო სამუშაოებსაც დაგეგმავენ. შემდეგ დელეგაციის წევრები ოშკში გადავლენ და ტაძარს მოინახულებენ. ქართველ სპეციალისტთა ჯგუფის შემადგენლობაში კულტურის სამინისტროს, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს, ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ცენტრის წარმომადგენლები, ასევე საპატრიარქოდან ერთი რესტავრატორი შედის.

მაცაბერიძის თქმით, ეს ვიზიტი თურქული მხარის კეთილი ნების გამოხატულების შედეგია. მისი თქმით, ამ მიზნით, კულტურის სამინისტრომ საქართველოში თურქეთის ელჩს ერთი თვის წინ მიმართა.

„ინტერპრესნიუსი“

ინფექციურ სნეულებათა და შიდსის კლინიკა ახალ შენობაში გადავა

ამის შესახებ ინფორმაციას ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო ავრცელებს. მისი თქმით: **„ინფექციურ საავადმყოფოში ამჟამად ორი იურიდიული პირი არსებობს — ინფექციურ სნეულებათა და შიდსის კლინიკა და სეფსისის ცენტრი. 3 წლისწინანდელი პროექტი ძალაშია და მისი განხორციელება უკვე დავიწყეთ. ტენდერის პირობები სრულდება და ცოტა ხანში, ინფექციურ სნეულებათა და შიდსის კლინიკის რესკონსტრუქცია დაიწყება. გეგმა ასეთია, ახალი შენობის რეკონსტრუქცია მოხდება და ინფექციურ სნეულებათა და შიდსის კლინიკა ახალ შენობაში გადავა. რაც შეეხება სეფსისის ცენტრს, მიმდინარეობს მოლაპარაკებები. 4 სამუშაო ვარიანტი გვაქვს, რომელთაგან ერთ-ერთი ლიდერი უკვე გამოიკვეთა. საკითხი პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ყოველგვარი კონფლიქტებისა და არეულობის გარეშე. სერვისების წყვეტა არ მოხდება, პირიქით, განვითარდება ინფრასტუქტურას“.**

„პირველი“

„სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული ვალდებულია, ქართული ენა იცოდეს!“

რას მოიცავს ახალი კანონპროექტი „სახელმწიფო ენის შესახებ“ და აპირებს თუ არა ხელისუფლება ენის სახელმწიფო პატაფის აღდგენას?

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

მთავრობამ „სახელმწიფო ენის შესახებ კანონზე“ მუშაობა დაიწყო. პროცესში აქტიურად არიან ჩართულები ცნობილი ფილოლოგები, ენათმეცნიერები და იურისტები. კანონპროექტი კი, სავარაუდოდ, საშემოდგომო სესიაზე გადაეცემა პარლამენტს. „ვერსია“ დაინტერესდა, რა ძირითად მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო მოქალაქეებს და როგორ დაიცავენ ქართული ენა? კომპეტენტური ინფორმაციის მისაღებად, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, „სახელმწიფო ენის კანონპროექტის“ შემმუშავებელი კომისიის თანათავმჯდომარეს, პროფესორ ავთანდილ არაბულს ვესაუბრეთ.

— სახელმწიფო ენის შესახებ კანონპროექტი სამი ათეული წელია, ვერა და ვერ მივიღეთ. მასზე მუშაობა მუდმივად მიმდინარეობს, მაგრამ დამტკიცება არასოდეს მოხერხდა. მეცნიერებათა აკადემიაში ინახება „ენის შესახებ კანონპროექტის“ გაყვითლებული ფურცლები. 80-იან წლებში, როცა ეროვნული ტალღა აგორდა და ენობრივი საკითხი უმთავრესი იყო, მოსკოვი საპირისპირო პოლიტიკას ახორციელებდა. ეს რუსული იმპერიის ბოლო პერიოდია და იმ დროს, როცა იმპერია ინგრევა, აძლიერებს მეორე, რეპრესიულ ძალას, რაც ენის მიმართულებითაც გამოიხატება. უმაღლეს სასწავლებლებში 50-50%-ზე უნდა ყოფილიყო რუსულის სწავლება. მერე, 90-იან წლებში, გაჭირვების პერიოდმა, „სახელმწიფო ენის შესახებ კანონის“ მიღება შეაფერხა. კანონპროექტი მზად გვქონდა, მაგრამ პარლამენტში განსახილველად არ ყოფილა წარდგენილი. 1997 წელს დაარსდა ენის სახელმწიფო პალატა, რომელსაც დაეკისრა ენობრივი პოლიტიკის მეთვალყურეობა. პალატამ იურისტებთან და ფილოლოგებთან ერთად, ძალიან კარგი კანონპროექტი მოამზადა. 2002 წელს მოხდა მისი პარლამენტში ინიცირება, განხილვა დაიწყო, მაგრამ გარკვეული წინააღმდეგობების გამო ჩაიშალა და აღარც განხილულა. 2004 წელს ნაციონალურმა ხელისუფლებამ და პრეზიდენტმა სააკაშვილმა კანონპროექტი გამოითხოვა პარლამენტიდან და თაროზე შემოდო. ენის პალატაც დახურეს და სახელმწიფო ენის კომისიაც გააუქმეს. პარლამენტში არსებობდა სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი და ისიც გააუქმეს.

— გაუქმების მიზეზი რა იყო?

— არ სურდათ, ამ კომისიას ეარსება! სხვა მიზეზი არ არსებობდა. კანონის გამოთხოვისა და მისი უგულებელყოფის მიზეზი ის იყო, რომ ნაციონალებს მიაჩნდათ — სახელმწიფო ენის კანონი საჭირო არ არის! მათი აზრით, სახელმწიფო ენას მომავალი და ასპარეზი არ აქვს. ნაციონალური მოძრაობის ბევრი ლიდერი ამბობდა, მთელი მსოფლიო ინგლისურენოვანია და კარგი იქნება, თუ ინგლისურ ენაზე გადავალთო. ეს აღვივებდა ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ქართული ენის მიმართ.

— ანუ ნაცმოძრაობა აპირებდა, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში ინგლისური ყოფილიყო სწავლებისა და ურთიერთობის ენა?

— დიახ. ეს სურდათ და ამბობდნენ კიდეც... ასეთი ჩანაფიქრი ნამდვილად არსებობდა, რისი არგუმენტი ისიცაა, რომ სკოლებში ინგლისურის სწავლება გააძლიერეს. 5 წლის ბავშვებს, რომელთაც მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდნენ, ინგლისურის სწავლება დააწყებინეს. იმ ადამიანების რიცხვს მივეკუთვნები, რომელიც ფიქრობს, რომ სახელმწიფო ენის დაცვის პოლიტიკა კანონზე უნდა ააგო. ყველა კონსტიტუციურ ნორმას საკანონმდებლო ინიციატივა სჭირდება. ამას კი კანონი უნდა მიებას. კანონი იქნება ისეთი, როგორიც არის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა.

— როგორია დღევანდელი კანონი, ახალი კანონპროექტი რას ითვალისწინებს?

— ახალი კანონპროექტი ეხება სახელმწიფო ენის ოფიციალურ გამოყენებას. ამ კანონით კი, დარეგულირდება ოფიციალური ურთიერთობები. ცალ-ცალკე შემუშავდება და დაიხვეწება განათლების, მასმედიის, ელექტრონული მედიის, ინტერნეტის, გარიგებების, სავაჭრო ნიშნების... ენა. 9000-მდე უცხოენოვანი წარწერაა ბათუმიდან თბილისამდე ტრასებზე. ასე აღარ იქნება, რადგან ეს განუკითხაობა არ შეიძლება გაგრძელდეს.

— კანონპროექტი სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულ ადამიანებს ავალდებულებს, ქართული ენა იცოდნენ. არადა, ეთნიკურად არაქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში ქართული არ იციან. ამას როგორ დაარეგულირებს კანონი?

— საჯარო მოსამსახურემ სახელმწიფო ენა, რასაკვირველია, უნდა იცოდეს. ამას ყველა ქვეყნის კანონი ითხოვს. სახელმწიფო ვალდებულია, საკუთარ მოქალაქეებს შეუქმნას პირობები, სახელმწიფო ენას დაეუფლონ. მით უმეტეს, ახალი კანონი სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს ავალდებულებს ქართული ენის ცოდნას. ვინც ქართული არ იცის, 2-3-თვიან კურსებს გაივლიან და ენას დაეუფლებიან.

— არსებობდა პროექტი „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომლის ფარგლებში, საქართველოში კომპაქტურად ჩასახლებულ სომხურ და აზერბაიჯანულ მოსახლეობას ქართულს ერთი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ. რატომ არ გაამართლა ამ პროგრამამ?

— ენის ათვისება პრაგმატულად ხდება — გჭირდება სწავლობ, არ გჭირდება — არ სწავლობ... იმედია, სახელმწიფო ამ საკითხს ისე ააწყობს, რომ არაქართულ მოსახლეობას ენის სწავლა არ გაუჭირდება.

— კანონპროექტის მიხედვით არაქართულენოვან სასწავლებლებსაც ავალდებულებს ქართულის სწავლას?

— რასაკვირველია! თუ უმაღლესი სასწავლებლები არაქართულენოვანია, იქ სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს.

— კანონპროექტში წერია, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენა აფხაზურია. ამ ლოგიკით, ოსურსაც შეიძლება მიენიჭოს სახელმწიფო ენის სტატუსი?

— აფხაზეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენა იქნება ქართული და აგრეთვე აფხაზური. აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეთის მინისტრთა კაბინეტი, საქმის წარმოებას აფხაზურადაც წარმართავს. აფხაზებს სხვა სამშობლო არ აქვთ. მთელი ჩვენი ისტორია აღბეჭდილია აფხაზური ენისა და აფხაზური ეთნოსის ზრუნვით, ამის დათმობა-გაუფასურება კი არ შეიძლება. არ აქვს მნიშვნელობა, რა პოლიტიკური კონიუნქტურაა და ეს ტერიტორია ვინ წაგვართვა. რაც შეეხება ოსეთს, ეს ენა არ არის იმ სტატუსის, როგორიც აფხაზური. აფხაზების სამშობლო აფხაზეთშია, ოსებისა კი — ჩრდილოეთ ოსეთში... მათ ტერიტორიაზე ოსური ენა დაცულია და ამიტომ სახელმწიფო ენის სტატუსი ვერ ექნება.

— ბოლო პერიოდში უცხო სიტყვები რომ მკვიდრდება, ამასაც გააკონტროლებს ახალი კანონი?

— ეს კანონის რეგულირების სფერო არ არის, ის ითვალისწინებს, რომ უნდა იარსებოს სახელმწიფო ენის მუდმივმა სახელმწიფო კომისიამ, რომელიც ენის ნორმებზე იმუშავებს, ნორმა კი იგივე კანონია... ნორმები თავიდანაა დასაწერი, რადგან ახალი ეპოქაა და წინა ნორმების დადგენიდან დიდი დრო გავიდა... ამ მხრივ სამუშაო ძალიან ბევრია, ლექსიკონიც გვაქვს შესადგენი და გამოსაცემი.

— თუა საუბარი ენის პალატის აღდგენაზე?

— კანონპროექტის მიხედვით, რეკომენდაციას ვაძლევთ სახელმწიფოს, რომ არსებობდეს მსგავსი სახელმწიფო სტრუქტურა, რასაც სავარაუდოდ, სახელმწიფო ენის დეპარტამენტი ერქმევა. თუ გვაქვს კანონი, ნორმები... შესაბამისად, უნდა არსებობდეს მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც შეიძლება, განათლების სამინისტროს ან რომელიმე სხვა სტრუქტურას დაექვემდებაროს. ვნახოთ, გაითვალისწინებს თუ არა ამ რეკომენდაციას ხელისუფლება.

„არ მგონია, მერაბიშვილის დაპატიმრება პოლიტიკურად ბრძნული გადაწყვეტილება ყოფილიყო“

საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა დაკავებასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობების პერსპექტივებზე კარნეგის ფონდის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების უფროს სპეციალისტ თომას დე ვაალს ვესაუბრეთ.

— დავიწყოთ თემით, რომელსაც დასავლეთი საკმაოდ აქტუალურად მიიჩნევს. როგორ აფასებთ საქართველოში მიმდინარე კოჰაბიტაციას?

— საქმე ისაა, რომ რეალურად, კოჰაბიტაცია არავის სურს, თუმცა მის აუცილებლობას გარემო პირობები აჩენს... მაგალითად, საფრანგეთში პოლიტიკური პარტიები კოჰაბიტაციაში არიან და ძალიან უჭირთ თანამშრომლობა, ვისაც კოჰაბიტაცია სიამოვნებას ანიჭებს, ჟურნალისტები არიან — სხვადასხვა პოლიტიკოსების ერთად მუშაობის სიძნელეებზე მათ ბევრი კარგი ამბის დაწერა შეუძლიათ. საქართველოში კი, ცნობილია, რომ კონფრონტაციული არჩევნები ჩატარდა. მხარეებს ერთმანეთის განადგურება სურდათ. არჩევნები, ფაქტობრივად, 2013 წელსაც გრძელდება. ვხედავთ, რომ საპარლამენტო არჩევნებიდან მრავალი თვის შემდეგაც კი პარტიები კვლავ საარჩევნო ბრძოლაში არიან. კოჰაბიტაცია იოლი პროცესი არ არის, ამიტომაც ვფიქრობ, რომ კოჰაბიტაციის მიმართ მოლოდინი ძალიან დაბალი უნდა იყოს. ნათელია, რომ მთავარი შეშფოთება უკავშირდება დაპატიმრებებს. განსაკუთრებით, ბატონი მერაბიშვილის დაპატიმრებას. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, კოჰაბიტაციის ბევრმა ასპექტმა იმუშავა, განსაკუთრებით — პარლამენტში. ჩემი აზრით, ბატონი უსუფაშვილისა და ბატონი ბაქრაძის თანამშრომლობა ერთად მუშაობის კარგი მაგალითია. იმასაც კი ვფიქრობ, რომ კოჰაბიტაციამ საქართველოში უკეთ იმუშავა, ვიდრე ვაშინგტონში. ვხედავთ უფრო პლურალისტურ საქართველოს, ვიდრე ბოლო წლებში გვინახავს — მაგალითად კმარა სატელევიზიო სივრცე... ჩემი აზრით, კოჰაბიტაცია საქართველოსთვის რთული გამოწვევა აღმოჩნდა. ვნახოთ, ამ გამოცდილების წყალობით, წაიწია თუ არა წინ საქართველომ.

— რას ფიქრობთ დაპატიმრებებზე, რას ურჩევთ საქართველოს მთავრობას იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს დაპატიმრებების პოლიტიკურად მოტივირებულ ნაბიჯებად აღქმა?

— ვფიქრობ, უნდა გავაცალკევოთ, რა არის კანონიერი და რა — პოლიტიკურად ბრძნული გადაწყვეტილება. ჩემი დაკვირვებით, ბატონი მერაბიშვილის დაპატიმრებას კანონიერი საფუძველი ჰქონდა, მის მიმართ წაყენებული ბრალდებებიც საკმაოდ სერიოზულია — მაგალითად, გირგვლიანის საქმე. ისე ჩანს, რომ საქმეს პროცედურების დაცვით განიხილავენ, სასამართლო კარგად ჩატარდება, მას საერთაშორისო დამკვირვებლები დააკვირდებიან და ასე შემდეგ. მერაბიშვილის დაპატიმრება დასაბუთებული გახლდათ, მაგრამ არ მგონია, ის პოლიტიკურად ბრძნული გადაწყვეტილება ყოფილიყო. საქართველოში ძალიან რთული, დაპირისპირებით აღსავსე არჩევნები ჩატარდა. ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია წინსვლა. ახალი მმართველი პარტიისათვის დიდი წარმატებაა, რომ გამოკითხულთა 60% უჭერს მხარს, ხოლო ნაციონალურ მოძრაობას — 10%. მაშინ, რატომ სჯი ნაციონალურ მოძრაობას, როდესაც საზოგადოებრივი აზრის კვლევებში ისედაც ცუდი შედეგი აქვს? ამიტომაც მიმაჩნია, რომ უნდა გავაცალკევოთ, რა არის კანონიერი და რა — პოლიტიკურად ბრძნული გადაწყვეტილება. ნათელია, რომ როდესაც საქართველოს უკრაინას ადარებენ და ტიმოშენკოს საქმესთან პარალელებს ავლებენ, საქართველო ბევრ ნეგატიურ გამოხმაურებას იღებს. ამ დროს კი, საქართველოს სჭირდება წინსვლა და ეკონომიკაზე კონცენტრირება. ცხადია, დაპატიმრებები ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს აზიანებს.

— ნიშნავს თუ არა კოჰაბიტაცია მეტ დემოკრატიას? თუ ასეა, როგორ შეუძლია კოჰაბიტაციასა და მეტ დემოკრატიას, დაეხმაროს საქართველოს, რათა სეპარატისტული რეგიონებისათვის მიმზიდველი გახდეს?

— აფხაზეთში, დაახლოებით, ორი თვის წინ ვიყავი... აფხაზეთი საქართველოსგან განსხვავებულ რეალობაში ცხოვრობს, ერთმანეთთან საერთო ბევრი არაფერი აქვთ და ამიტომ ვფიქრობ, ქართველები უფრო რეალისტები უნდა იყვნენ. თუ აფხაზეთის დაბრუნება და აფხაზებთან ცხოვრება სურთ, ეს ხანგრძლივი პროცესი იქნება. რა თქმა უნდა, საქართველოსთვის კარგი იქნება, გახდეს უფრო ღია და დემოკრატიული, საქართველოს წარმატება დადებითად აისახება აფხაზებსა და უფრო მეტად, ოსებთან ურთიერთობაზე, რადგან ოსეთი გაცილებით პატარა და სუსტია... მათ საქართველო უნდა აღიქვან არა როგორც საფრთხე, არამედ ფანჯარა კეთილდღეობისკენ... ამ თემაზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ძლიერია ისტორიული შიში, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ეჭვები, რომელთა გაფანტვას მრავალი წელი დასჭირდება. მაგრამ რატომ არ დავიწყოთ მოქმედება ახლა?!

— როგორ აფასებთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობებსა და საქართველოს მთავრობის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში?

— ახალი მთავრობის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ მაღალ შეფასებას მივცემდი. ვფიქრობ, აზრი აქვს რუსეთთან საუბარსა და საქმის კეთებას იქ, სადაც ეს შესაძლებელია; ასევე უნდა შევთანხმდეთ, რომ სადაც საქმის კეთება შეუძლებელია, იქ შეთანხმებასაც აზრი ეკარგება. ნათელია, შეუძლებელია შეთანხმება აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის საკითხებზე, მაგრამ მიმაჩნია, რომ სხვა საკითხებში რუსეთთან ცუდი ურთიერთობა ის ფუფუნებაა, რისი საშუალებაც საქართველოს არ გააჩნია. რუსეთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბაზარია, ამდენად, თუ მთავრობა მოახერხებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაფართოებას, ვიზების ლიბერალიზაციასა და, შესაძლოა, ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში თანამშრომლობას, ეს იქნება კარგი რუსეთისთვის, საქართველოსთვის და სამომავლოდ, შესაძლოა, კარგი აღმოჩნდეს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთისთვისაც.

ნინო წივწივაძე

„ინტერპრესნიუსი“, ვაშინგტონი

„აუცილებელია, მერაბიშვილი ექიმებმა მოინახულონ“

ევროპარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის დელეგაციამ, თავმჯდომარე არნო დანჟანის მეთაურობით, სასჯელაღსრულების №9 დაწესებულებაში, წინასწარ პატიმრობაში მყოფი, ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი მოინახულა.

არნო დანჟანის თქმით, **„წინასაარჩევნო პერიოდში ვანო მერაბიშვილის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის საფუძველი და საჭიროება არ არსებობს“.**

ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივნის მონახულების შემდეგ, ევროპარლამენტარმა კჟიშტოფ ლისეკმაც გააკეთა განცხადება, რომელმაც ვანო მერაბიშვილი ციხეში უკვე მეორედ ნახა. მისი განაცხადებით, მერაბიშვილის ოჯახთან დაკავშირებული საკითხი ამ დრომდე მოუგვარებელია: **„კიდევ ერთხელ გამოვხატავ გაოცებას, თუ რატომ იმყოფება ვანო მერაბიშვილი წინასწარ პატიმრობაში. მერაბიშვილი საგამოძიებო უწყებაში რამდენჯერმე მივიდა. გამოძიების დაწყებიდან ხუთჯერ საზღვარგარეთ იმყოფებოდა და ხუთივეჯერ დაბრუნდა უკან. მე, პირადად, ვერ ვხედავ ვერც ერთ მიზეზს მისი წინასწარ პატიმრობაში ყოფნისა, თუ არა პოლიტიკურს“.** ლისეკმა ისიც აღნიშნა, რომ მერაბიშვილს წონაში საგრძნობლად აქვს დაკლებული და იგი ექიმებმა აუცილებლად უნდა გასინჯონ.

მერაბიშვილი ციხეში ასევე მოინახულა ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტმა იაცეკ პროტასევიჩმა. იგი იმ პირობებით დაინტერესდა, რომელშიც ვანო მერაბიშვილი სასჯელს იხდის.

ნაციონალური მოძრაობა ევროპარლამენტარების მიერ ვანო მერაბიშვილის ციხეში მონახულებას ეხმიანება. პარტიაში აცხადებენ, რომ წამყვანი ევროპელი პოლიტიკოსების ასეთი ინტერესი მათი ნაციონალების გენერალური მდივნის წინასწარი პატიმრობის საკითხისადმი მხოლოდ ერთ რამეს ადასტურებს — ისინი საკითხს სწორედ პოლიტიკურ კონტექსტში განიხილავენ.

ნაციონალური მოძრაობა მადლობას უხდის ევროპარლამენტის დელეგაციას, ასევე ევროკომისარს გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულეს, გამოჩენილი ყურადღებისათვის — თბილისში ვიზიტით მყოფ შტეფან ფულესა და ვანო მერაბიშვილს შორის, 12 ივლისს, სატელეფონო საუბარი გაიმართა. მათ სხვა საკითხებთან ერთად, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მერაბიშვილის ყოფნის პირობებზეც ილაპარაკეს.

ნაციონალური მოძრობა იმედოვნებს, რომ პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის მიერ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად და კონკურენტულად ჩატარების შესახებ აღებული ვალდებულება რეალურ შედეგს გამოიღებს: **„ამისთვის აუცილებელია, შეწყდეს ამ და სხვა პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებში წინასწარი პატიმრობის პოლიტიკურ იარაღად გამოყენება და ეჭვმიტანილების წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება მოხდეს, რადგან მათი წინასწარი პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობაც ევროპელი პარლამენტარების აზრით, არ არსებობს“.**

„ვერსიანიუსი“

„დედ ჰასანის“ სავარაუდო მკვლელი, ქართველი „კანონიერი ქურდი“ მერაბ სუხუმსკი დააკავეს

უნგრეთში სამართალდამცველებმა, რუსეთში მოკლული კრიმინალური ავტორიტეტის ასლან უსოიანის, იგივე „დედ ჰასანის“ მკვლელობის შესაძლო მონაწილე, „კანონიერი ქურდი“ მერაბ ჯანგველაძე, იგივე ,,მერაბ სოხუმსკი“ დააკავეს.

რუსი სამართალდამცავების ცნობით, მერაბ ჯანგველაძე უნგრეთში, ბუდაპეშტის სასტუმროში დააკავეს. მას ბრალად იტალიის ტერიტორიაზე მკვლელობა ედება.

რუსული მედიის ცნობით, ამ დროისთვის რუსი და იტალიელი პოლიციელები საჭირო ღონისძიებებს ახორციელებენ, რათა ორგანიზებული დაჯგუფების — „ქუთაისელების“ საქმიანობა აღმოფხვრან. დაკავებული ,,მერაბ სუხუმსკი“ სწორედ ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერია.

,,აღნიშნული ორგანიზებული დაჯგუფების წევრი ქართველი ემიგრანტები, იტალიელი სამართალდამცავების მხედველობის არეში მას შემდეგ მოხვდნენ, რაც მათ იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრიის, ესპანეთის, ჩეხეთისა და ლიტვის ტერიტორიაზე აღნიშნული დაჯგუფების მიერ უმძიმესი დანაშაულების ჩადენის შესახებ ეჭვი გაუჩნდათ“, — ნათქვამია რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ცოტა ხნის წინ გავრცელებული ინფორმაციით, იტალიელი პოლიციელები ასლან უსოიანის მკვლელობის სავარაუდო შემკვეთების კვალზე გავიდნენ.

ისინი „დედ ჰასანის“ მკვლელობის ერთ-ერთ სავარაუდო შემკვეთად სწორედ მერაბ ჯანგველაძეს ასახელებენ.

75 წლის „დედ ჰასანი“ მოსკოვში 16 იანვარს, ერთ-ერთი რესტორნიდან გამოსვლისას მოკლეს. მას უცნობმა პირმა ერთხელ ესროლა, საავადმყოფოში გადაყვანის შემდეგ კი ის გარდაიცვალა.

„ნიუსპრესი“

ძიებანი მუხურსა და სქურში

ქვათა მატიანე

ლაკადა

გელა ქოქიაშვილი

სქურის ტაძრის ხედები აღმოსავლეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან; ტაძრის დასავლეთი პორტალი და საკურთხევლის აბსიდი

როგორც იქნა, ავდარმა პირი იბრუნა. ხობისწყლის გაშლილი ხეობა მზეში ჩახჩახებს. გზას აღმა მივუყვებით. სოფელ ლესიჭინეს აბრა ფიქრთა დინებას მიცვლის. **ლესიჭინე** სიჭინავების სამოსახლოს ნიშნავს, რომელშიც „ლე“ პრეფიქსი სვანური ფორმანტია. მსგავს დასახელებებს მთის სამეგრელოში სხვაგანაც ბევრგან შევხვდებით და სვანეთშიც: ლენტეხი, ლენჯერი, ლატალი, ლეკალმახე, ლენფერი და სხვ. აღსანიშნავია, რომ თვით მთის სამეგრელოსაც **ლაკადა** ჰქვია, რაც მეორდება ლენტეხის რაიონის მთიანი ალაგის სახელწოდება **ლასკადაში** და მდინარე **ლასკადურაში**. რატომ ვუტრიალებ ამდენს მეგრულში სვანური სუბსტრატის არსებობას?

ვარლამ თოფურიას მოსაზრებით, პრეფიქსი „ლე-ლა“, რომელიც საერთო ქართველური „ნე-ნა“-სგან მომდინარეობს, თავადვე უნდა წარმოადგენდეს საერთო ქართველურ ან თუნდაც საერთო ზანურ-სვანურ ფორმანტს. ეს ვერსია, თავისთავად, არ გამორიცხავს მეორე, ძალზე საყურადღებო მოსაზრებასაც, რომელიც ასეთია: ეგრისის მაღალი, თოვლიანი ქედის გადაღმა მდებარე სვანეთიდან სვანური მორფოლოგიური ელემენტი მეგრულში ასე ძალუმად ვერ დამკვიდრდებოდა, თუ არა ხანგრძლივი თანაცხოვრების პირობები. **ხომ არ არის კოლხეთი სვანთა გადანაცხოვარი ალაგი? იქნებ, სვანები უშორეს ხანაში ზანური ტომების სამხრეთიდან მიწოლის შედეგად გადავიდნენ ეგრისის ქედის ჩრდილოეთით? თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ისიც სავარაუდოა, რომ სვანთა ერთი ნაწილი ადგილზევე დარჩა, ზანურ ენაზე მოსაუბრე ტომებში აირია და თავისი მორფოლოგიური ელემენტი შემოინახა ლაკადაში. ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ამ შემთხვევაში II საუკუნის ბერძენ გეოგრაფს პტოლემაიოსსაც გავიხსენებთ, რომელიც სვან-კოლხთა შერეული ტომის შესახებ საუბრობს.**

... ამ საუბარსა და განსჯაში ხობისწყლის ხეობის ბოლო სოფელში, შევდივართ. ზანურად ამ ტოპონიმის ახსნა ძალიან ჭირს. ხური (აქედან მოდის ხუერელი, ანუ ხვრელი), ვიწრო ადგილს ნიშნავს, „მუ“ პრეფიქსი კი იქ, შიგნით, მკვიდრობას უნდა აღნიშნავდეს. (გავიხსენოთ ძველქართული „მუნ“). სწორედ მუხურიდან ვიწროვდება ხობისწყლის ხეობა, რომელსაც ლუგელა ეწოდება... ისევ სვანური პრეფიქსი!...

ძალიან ლამაზია მუხურის ბოლო უბანი **ქოყო**, სადაც ჩემი თანამგზავრის ლაზარე ცირამუას ოჯახი და საერთოდ, ამ გვარის ადამიანები ცხოვრობენ უმეტესად. კიდევ უფრო ლამაზია ლუგელის ხეობის ზედა მონაკვეთი: მცირე ხევები, ჩანჩქერები, წყაროები და თავად ხობისწყალი — ცისფერი მდინარე.

მუხურში ერთი ახალი ეკლესია და სასაფლაოზე მდგარი XVIII-XIX საუკუნეების დიდი სამნავიანი ეკლესიის ნანგრევებია. აღმოსავლეთიდან სოფელს თავს დასცქერის მაღალი, ტყიანი მთის წვერზე მდგარი XI საუკუნის **ოსინდალეს „წმ. გიორგი“** — დარბაზული ეკლესია, სადაც ხანგამოშვებით, თუ გზა არ მოწყდა, ბერები ცხოვრობენ. ოსინდალე წმინდა ზანური ტოპონიმია. უფრო ძველი ფორმა ოსინჯალე უნდა იყოს, რაც სასიძო ალაგს ნიშნავს. **როგორც სოფელში ამბობენ, ქორწილის წინ სიძის მაყრიონი დოღს სწორედ ოსინდალესთან ამთავრებდა და ალაგს იმიტომ დაერქვა ეს სახელი.**

მუხურიდან იქვე მდებარე **ჯგალში** გადავდივართ. ხობისწყალს ჭანისწყალი ენაცვლება. ამჯერად ზევიდან ქვევით უნდა დავუყვეთ მდინარეს. ჯგალს ზევით, დაახლოებით 5-6 კილომეტრში, იქ, სადაც ჭანისწყლის ორი სათავე ერთდება, 1943 წლამდე ჯერ კიდევ შემორჩენილი ყოფილა ძველი კოშკის — **გეთოლის** ქვედა სართული, რომელშიც კარიბჭე იყო გაჭრილი. კარიბჭეში ვიწრო გზა გადიოდა და რაკი მისი გაფართოების აუცილებლობა დამდგარა, კოშკი მთლიანად მოუშლიათ. ხერთვისთან მდებარე კოშკი **სქურის** ორ ხეობაში შემავალ ვიწრო ყელს სამხრეთიდან კეტავდა, დანარჩენი სამი მხრიდან კი იგი **თარზენისა** და **ბოგაშის** მთებითაა შემორკალული. ამდენად, სქური სტრატეგიულად ძალიან გამაგრებული ადგილი უნდა ყოფილიყო. კიდევ ერთი საინტერესო პარალელი: ბოგა მცირე ხიდს — ბოგირს ნიშნავს და ბოგაშის მსგავსი ტოპონიმები გვხვდება ქვემო ქართლშიც **(ბოგვი)** და ზემო სვანეთშიც **(ბოგრიში, ბოგრეში)**. ახლა ტოპონიმ სქურზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. როგორც ამბობენ (იხ. პაატა ცხადაიას „სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი“. ტ. I), სქური ტყიან-წყლიან ხეობას ნიშნავს. მსგავს სახელწოდებებს აქ, ლაკადშიც ვხვდებით და მესტიის რაიონში, ჭუბერის ხეობაშიც: **სქურდილი, სქურჩი, სგურიში.**

წავიდეთ უფრო შორს და გავიხსენოთ უძველესი დიოსკურიაც, რომელსაც ბერძნულის გარდა, ჩვენებური ახსნაც აქვს — დედის სამოსახლო ადგილი. აშკარაა, რომ სქური, სგური და სკური (მისი შეკუმშული ფორმა ხომ არ არის სკრაც?) პარალელური ფორმებია. ამას ნათელყოფს იოანე ოქროპირის „თარგმანებაი მათეს სახარების“ XII-XIII საუკუნეების ხელნაწერის ერთი მოგვიანებითი მინაწერი, სადაც სქურის ნაცვლად, სკური წერია: **„ღმერთო და წმინდაო ღვთისმშობელო და ქრისტე სკურისაო...“** თავისთავად სქური-სკური-სგური ასე შეიძლება დავშალოთ: ს-ქ-ური. ჯერ კიდევ შუმერიდან მოკიდებული, სიტყვა ურს სამოსახლო ადგილის (ასეა ჩვენშიც), ხოლო სიტყვა ქურს — გზნეულთა იდუმალი ხეობის მნიშვნელობა აქვს (შუმერთა ქალღვთაება ინანა ქურში შევიდა).

ვიწრო ხევებით დასერილი და დაბურული ჩვენი სქური, რომელშიც ახლა შევდივართ, მართლაც ის იდუმალი ადგილია, სადაც, ჩანჩქერების გარდა, სამკურნალო წყალიც გადმოედინება. ბუნებრივად გამაგრებული ეს ადგილი, სავარაუდოთ, ჭანისწყლის ხეობის მფლობელის თავდაპირველი რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, რასაც აქ არსებული ყველაზე დიდი და ძველი ეკლესია ადასტურებს. იგი წალენჯიხის გუმბათიან ტაძარზე ძველი რომაა, ამას არა მარტო არქიტექტურა, არამედ ლეგენდაც ადასტურებს: **„სქურს აქეთ სამლოცველო არ ყოფილა. დაობდნენ, თუ სად აეშენებინათ. სვანეთიდან მობრუნებულ თამარ დედოფალს უბრძანებია, ხარი და ფური გაუშვით და სადაც გაჩერდებიან ეკლესია იქ ააგეთო“**. ფური იქ გაჩერებულა, სადაც დღევანდელი წალენჯიხაა. ე. ი. ჯერ სქური ყოფილა და მერე წალენჯიხა. სქურის ტაძარი ხობის ტაძარზეც ძველია...



სქურის ეკლესია, რომელიც გეთოლის ნაალაგარიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 2 კმ-ში მდებარე პატარა სოფელ სქურში დგას, ერთ-ერთი დიდი დარბაზული საყდარია ჩვენში, მაგრამ ძალიანაა დანგრეული. იგი მინაშენებიანად სიგრძეში 21 და სიგანეში 20 მეტრი ყოფილა. მთავარი დარბაზი შიგნით სიგრძეში 14 მეტრია, სიგანეში კი 8 მეტრი. როგორც აფსიდის კონქის შემორჩენილი ნაწილი ცხადყოფს, იგი სიმაღლეში 12 მეტრს აჭარბებდა. დარბაზი 8 სარკმლით ნათდებოდა. მათგან 3 აფსიდში ყოფილა: 1 — ცენტრში და 2 — ძალიან მაღალ ნიშებში, რომლებიც შირიმის მცირე კვადრებითაა გამოყვანილი. ტაძრის ძირითად სამშენებლო მასალად ადგილობრივი მოლურჯო კლდის თლილი ლოდებია გამოყენებული. ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენების აღმოსავლეთ ნაწილებში ეკვდერებია. ჩრდილოეთ მინაშენის ეკვდერის აფსიდი სწორკუთხაა და მასში, მთავარი დარბაზის მიბაძვით, ორი ოდნავ შეისრული ნიშია, სამხრეთ მინაშენის ეკვდერს ნახევარწრიული აფსიდი და ერთი სწორკუთხა ნიში აქვს. სამხრეთ მინაშენის შუაში ისეთივე ფორმის კარიბჭე ყოფილა ჩადგმული, როგორიც დასავლეთიდან ჰქონია ტაძარს. ორთავე კარიბჭე სამკაულებიანი უნდა ყოფილიყო, რასაც ტაძრის დასავლეთისა და სამხრეთის კარის წირთხლებზე შემონახული დამდნარი ჩუქურთმები ადასტურებს. ამჟამად პერანგის ერთი ნაწილი, მეტადრე კი, საკურთხევლის კედლისა, მორღვეულია. ჩამოქცეულია ყველა კამარა. წარწერას ვერსად მივაგენით, მაგრამ ჩანს მხატვრობის კვალი — სამხრეთ კედლის დასავლეთ მონაკვეთის ზედა რეგისტრის ქვები წითლადაა შეღებილი.

როგორც სოფელ სქურის 80 წლის მცხოვრებმა ინდიკო კვარაცხელიამ გვითხრა, მის ბავშვობაში, დაახლოებით 70 წლის წინათ, ტაძარს სახურავი ჯერ კიდევ ჰქონია, მაგრამ ზედ დიდი ხეები ყოფილა ამოსული.

ხუროთმოძღვრული ნიშებით სქურის ტაძარი X საუკუნის პირველი ნახევრის ძეგლს ჰგავს და იგი დასავლეთ საქართველოს. ანუ აფხაზეთის მეფის გიორგი II- ის დროს უნდა იყოს აგებული. სქურის ქვათა მატიანე იმ პერიოდის სხვა ცნობას ვერ გვაწვდის. საერთოდ, ტაძარზე მეტად ძუნწი ცნობები მოგვეპოვება და ისიც მხოლოდ XVII საუკუნის. **1639 წლის 26 ნოემბერს საყდარი მოუნახულებიათ რუსეთის მეფის ელჩებს ზახაროვსა და ელჩინს. მათი დანატოვარი წერილიდან ირკვევა, რომ ეკლესია მთელი იყო და მონასტერიც მოქმედებდა.** საკურთხევლის კედელზე შიგნიდან ხის დიდი ჯვარი ყოფილა მიმაგრებული, ხოლო გარედან — რკინის ჯვარი. გარდა ამისა, მდგარა კანკელი და ტრაპეზეს ის დიდი ქვა, რომელიც დღემდეა შემონახული. მაშინ სქურის მონასტერში წირვა ჩაუტარებიათ წალენჯიხელ ეპისკოპოს ანდრიას და ევდემონ არქიმანდრიტს. ეს ის ევდემონ ჯაიანი უნდა იყოს, რომელიც შემდგომ თავად გახდა წალენჯიხელი ეპისკოპოსი. საგულისხმოა მეორე ცნობაც, რომელიც სქურის ტაძარს ირიბად შეეხება. **იგი 1665 წელს წალენჯიხაში მყოფმა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმა დაგვიტოვა. იგი აქ შეხვედრია სვანთა ორ ეპისკოპოსს, „რომლებიც ქართველთა ქვეყანაში ცხოვრობენ... ეს ეპისკოპოსები სულ არ მიდიან სვანებთან და არ მოძღვრავენ მათ. ესენია — ცაგერელი ეპისკოპოსი და ცაიშელი ეპისკოპოსი. ცაგარელმა ეპისკოპოსმა მაუწყა, რომ მის სამწყსოში — სვანთა ქვეყანაში 60-ზე მეტი სოფელი შედის მაგრამ ისინი მხოლოდ სახელით არიან ქრისტიანები“**. როგორც „სქურის ისტორიული ძეგლების“ ავტორი პაპუნა გაბისონია ფიქრობს, მაკარიოსს ცაგარელ ეპისკოპოსთან კი არ ჰქონდა საუბარი, არამედ სქურელ წინამძღვართან, რადგან პატრიარქის წერილის არაბულ დედანში „ცაგარელის“ ნაცვლად, წერია „საქარელი“ (ე.ი სქურელი). მაკარიოსის ამ ცნობამ იმიტომ დაგვაინტერესა, რომ ამ საქურელ მღვდელმსახურს სვანთა სამწყსო კუთვნებია. სოფელ სქურში დღემდეა შემონახული გადმოცემა, რომლის თანახმად, სქურის მონასტერში სწორედ ბალსქვემო სვანეთიდან ჩამოყავდათ ხოლმე ბავშვები მოსანათლად.

სქურის მონასტერი კიკონიის ხევთან

ავტორის ფოტოები

1. ბავშვთა დაავადებების შემსწავლელი მეცნიერება
2. პატიმრის დასასჯელი საკანი
3. სასვენ ნიშანთა ხმარების წესი
4. ქალის ძვირფასი სამკაული, ღია გვირგვინი
5. გაღივე-ბული და დაღერღილი ქერი ლუდის გამოსახდელად
6. ყველაზე პატარა კონ-ტინენტი
7. ნაყოფიერების ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში
8. ჰიდრო-ტექნიკური ნაგებობა
9. თურქე-თის დედაქა-ლაქი
10. დაკლუ-ლი საქონლის შიგნეულობა
11. ... წყალში ყიყინებს
12. ლეონარ-დო და ვინჩის ,,საიდუმლო ...“
13. ქიმიური ელემენტი
14. აკაკი წერეთლის მშობლიური სოფელი
15. ბარით მოჭრილი მიწის ნაწილი
16. სო-ფლური ქოხი უკრაინაში
17. ვირის გასარეკი შეძახილი
18. გერმანიის სამრეწველო რეგიონი
19. ფრანგი ნობელიანტი მწერალი
20. ჰაერზე მსუბუქი მართ-ვადი საფრენი აპარატი
21. ძვ. ქართუ-ლი ხალხური სპორტული თამაშობა
22. ცხელი მატონი-ზირე-ბელი სასმელი
23. ნეფე-პატარძლის მხლებლები
24. დიდი გრძელბეწვია-ნი ძაღლის ჯიში
25. ეგვიპ-ტური კატის ჯიში
26. სოფიკოს კინოგმირი ,,ვერის უბნის მელოდიებში“
27. დაკოდი-ლი ცხენი
28. სტალონეს კინოგმირი
29. სათეატრო ცეკვის ხელოვნება
30. დეკორა-ტიული ყვავილი
31. მტკვრის უდიდესი შენაკადი
32. გამოფენა, რომელიც ორ წელში ერთხელ იმართება
33. აღმოსავ-ლური ფლეიტა
34. ისლამური ქვეყანა აზიაში
35. აშშ-ის ექსპრე-ზიდენტი
36. დიდი რუსი ბალერინა ... პავლოვა
37. ტრაგედი-ით ცნობილი კუნძული ნორვეგიაში
38. ბობ მარლის მუსიკალური სტილი
39. ბრძანება ,,ნაბიჯით ...!“
40. მატეო ფალკონეს ვაჟი მერიმეს ნოველაში
41. ძირითადი აზრი, რაობა
42. სამხრეთ-ამერიკული მორბენალი ფრინველი
43. ქართული ანბანის მე-17 ასო
44. იაპონიის იმპერატორთა ტიტული
45. ფრანგი პოეტი სიმ-ბოლისტი
46. თვალის ფერადი გარსი
47. დიდი წერილი
48. ყველაზე დიდი არტე-რია
49. იგივეა, რაც იჯარა
50. შინაური ფრინველი
51. ფრანგუ-ლი კინოს ვარსკვლავი სოფი ...
52. ინფორმა-ციის შენახვის ძირითადი ერთეული
53. ნაპოლეო-ნის ერთ-ერთი მარშალი
54. რომის იმპერატორთა ტიტული
55. თვალის გუგა
56. სანიმუშო ნაწარმოებთა ერთობლიობა
57. ჰოლანდი-ური გვარების წინსართი
58. მუსიკ. გართობის ერთ-ერთი ფორმა
59. იგივეა, რაც ჟარგონი
60. პასივის საპირისპირო ცნება
61. არგენ-ტინელი ფეხბურთელი
62. მოლდო-ვას ფულის ერთეული
63. ამერიკელ-თა მეტსახელი
64. ავტო-მატური ელექტრო-ხელსაწყო
65. ლითო-ნის რკალი რისამე გასამაგრე-ბლად
66. ფერიების დედოფალი ,,ზაფხულის ღამის სიზ-მარში“
67. მტკნარი წყლის ყველაზე დიდი მტაცებელი თევზი
68. ა2ჩ3
69. ,,... საოცრებათა ქვეყანაში“
70. ინდიელთა ტომი
71. ვერდის ოპერა ,,... კარლოსი“
72. მდინარის ნიმფა
73. ყარა-ჩოხელთა სამდინარო ტრანსპორტი
74. ეთიოპიის დედაქალაქი ...-აბება
75. ვულ-კანური გავარვარებუ-ლი მასა
76. სადიზმის ფუძემდებელი მარკიზი
77. ფერმწერი ...-გრეკო
78. კანი ფრჩხილის ირგვლივ
79. ბოძების მიწაში ჩასარ-ჭობი მანქანა
80. მცი-რე კალიბრი-ანი სანადირო თოფი
81. მდინარე იტალიაში
82. ჭაობის მცენარე
83. ყველაზე გავრცე-ლებუ-ლი მინერალი
84. ბელგიე-ლი მევი-ოლინე და კომპოზი-ტორი

სუდოკუმანია

ადვილი

			5		3		8	
				6		4	3	1
4								7
		2			1		6	
		8		5		7		
	3		9			5		
8								9
6	2	9		1				
	1		2		9			

სტანდარტი

		4			1	7		
							3	1
3			4					
8	2		9				4	3
		3				6		
4	6				2		8	9
					5			6
2	3							
		5	7			9		

რთული

3				5	7		4	2
			9	3				
					2	5		
	2	7		1			6	
	9						8	
	5			9		4	2	
		1	5					
				7	3			
6	3		2	8				7

ექსპერტი

			9		6		4	
			5	1		9	2	
3				7				
		7		6	5	4		
6	5						9	7
		2	7	4		1		
				9				4
	6	1		5	8			
	4		1		7			

ჰოროსკოპი
19 ივლისი

ვერძი — ვერძებისთვის არც ისე სასიკეთო დღეა, ამიტომ სჯობს, კონტრაქტების გაფორმებასა და გარიგებებზე უარი თქვათ და რუტინული სამუშაოთი დაკავდეთ. მშვიდად დააკვირდით მოვლენებს.

კურო — დღეს, შესაძლოა, ფსიქოლოგიური დაღლილობა იგრძნოთ. ყურადღებიანი იყავით, გარშემომყოფებისგან ეჭვიანობა ან წყენა რომ არ დაიმსახუროთ. მეტი იმოძრავეთ და ფიზიკურ დატვირთვას თავს ნუ აარიდებთ, რადგან სწორედ ამის დამსახურებაა თქვენი ჯანმრთელობა.

ტყუპები — იოცნებეთ, იმოქმედეთ, შექმენით! შესაძლებლობა გეძლევათ, ხელსაყრელი ფინანსური ოპერაციით მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესოთ.

კირჩხიბი — ბოლო პერიოდის მოვლენების კალეიდოსკოპმა თქვენი ცხოვრების ემოციური სფერო გადატვირთა. დროა საჭიროა, რომ ჩვეულ სამუშაო რიტმს დაუბრუნდეთ. ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, ახლობლების რჩევა გაითვალისწინეთ.

ლომი — დღეს განვითარებული მოვლენები დიდად არ გახარებთ, მაგრამ არც ხელს გიშლით იმ საქმის კეთებაში, რაც ძალიან მოგწონთ. უარს ნუ ეტყვით საკუთარ თავს, ცოტა რომ წაიზარმაცოთ. დღე სასარგებლო კონტაქტების დამყარებას დაუთმეთ.

ქალწული — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის ილუზიების დღეა. გეგმები და დაპირებები, შესაძლოა, სიმართლე არ აღმოჩნდეს, მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ, უკეთეს დროს დაელოდეთ.

სასწორი — შექმნილი ვითარება იმ საქმეში წარმატების მიღწევაში დაგეხმარებათ, რაზეც დიდხანს ოცნებობდით. უფრო კონკრეტული გახადეთ ეს ოცნება და ცხოვრებაში მისი რეალურად განხორციელება დაიწყეთ.

ღრიანკალი — იმოქმედეთ სწორად შემუშავებული გეგმის მიხედვით და არა მხოლოდ ყველა დასახულ საქმეს დაასრულებთ, მომავლისთვის ახალი შესაძლებლობებიც მოგეცემათ. პირად ურთიერთობებში ცოტა არეული დღეა. გეჩვენებათ, რომ არავის უყვარხართ, მაგრამ ნუ ინერვიულებთ, ასე არ არის.

მშვილდოსანი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს გარსკვლავები დღეს მშვიდ დღეს ჰპირდებიან. შესაძლოა, ცოტა საქმეც გადაგღალოთ, მაგრამ ამის გამო წარმატებას ხელს ნუ ჰკრავთ. დრო ოჯახის წევრებსაც დაუთმეთ, განსაკუთრებით პატარებს, მათ თქვენი ყურადღება ძალიან სჭირდებათ.

თხის რქა — დღის ენერგეტიკული პალიტრა საკმაოდ ჭრელია. თავი შეიკავეთ მკვეთრი შეფასებებისგან, განსაკუთრებულ პრეტენზიებს ნუ გამოავლენთ გარშემომყოფებისადმი. კარგი დღეა ხელსაყრელი კონტრაქტების გაფორმებისთვის.

მერწყული — თუ გინდათ, რომ ხვალინდელ დღეს ღიმილით შეხვდეთ, დღევანდელი დღის მადლიერი იყავით. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ — ხელსაყრელი წინადადება თავად გიპოვით, მხოლოდ ამისთვის მოთმინებაა საჭირო, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობების გარკვევას დღეს ნუ შეეცდებით.

თევზები — თქვენი ნიშნის სტიქია — წყალი საქმეში აუჩქარებლობისკენ მოგიწოდებთ. ამიტომ ნაკლებად გამოამჟღავნეთ გრძნობები და ემოციები. ნურც პირად ცხოვრებას დაივიწყებთ.

ჩაი ძვლების დაავადებას იწვევს

ამ სასიამოვნო სასმელის ჭარბად მოხმარება ზიანს აყენებს ორგანიზმს და ამის მტკიცებულება აშშ-ში, მიჩიგანის შტატში მცხოვრები 47 წლის ქალბატონია. იგი 17 წლის განმავლობაში ყოველდღიურად 10 ჭიქამდე ჩაის სვამდა და შედეგად, ყველა კბილი დაკარგა, ასევე ძვლის იშვიათი დაავადება განუვითარდა, რაც ორგანიზმში ფტორის სიჭარბემ გამოიწვია. როდესაც ქალბატონმა კიდურების, სახსრებისა და ხერხემლის ტკივილით ექიმს მიაკითხა, აღმოჩნდა, რომ მის ორგანიზმში ფტორის მაჩვენებელი ნორმაზე ოთხჯერ მეტი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ფაქტები ხშირად ფიქსირდება ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ჩაის ჭარბად მოიხმარენ. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში კი, ცნობილია, რომ სასმელ წყალს ფტორს ამატებენ. შესაბამისად, ამერიკელი ქალბატონი ამ ნივთიერებას ცალკე წყლიდან და ცალკე ჩაიდან იღებდა. როგორც წესი, ფტორი ორგანიზმიდან თირკმელების მეშვეობით გამოიდევნება, მაგრამ როცა ეს ვერ ხერხდება, ძვლებში აღწევს. ამერიკელმა ჩაის მოხმარება საკმაოდ შეამცირა, რის შედეგადაც ძვლების ტკივილი ნაკლებად აწუხებს. მედიკოსების განცხადებით, მისი ორგანიზმი დროთა განმავლობაში ფტორისგან გაიწმინდება და აღდგება.

იტალიელებმა ფეხსაცმლის გაქირავება დაიწყეს

აპენინებზე მოდური ფეხსაცმლის მოყვარულთათვის, ვინც ვერ ახერხებს ბოლო მოდელების შეძენას, ახალი სერვისი ამოქმედდა: ახლა, განსაკუთრებული შემთხვევებისთვის, ლიგურიის ქალაქ ალასიოში შესაძლებელია ფეხსაცმლის ქირაობა, ამგვარი ორიგინალური ანტიკრიზისული ინიციატივა კი ადგილობრივ ატელიეს — Maison de Mavie-ს ეკუთვნის და მათ უკვე სიამოვნებით გამოეხმაურნენ არა მხოლოდ უბრალო ადამიანები, ვინც „შეყვარებულია“ ფეხსაცმელზე, არამედ იტალიაში პოპულარული ხელოვანები, ტელეწამყვანები და მოდელები.

„ჩამშვები“ მონიტორი შექმნეს

წმინდა ენდრიუს უნივერსიტეტის მკვლევარებმა კომპიუტერის ახალი სისტემა შექმნეს, რომელიც დამსაქმებელს საშუალებას აძლევს, თანამშრომელი აკონტროლოს — გაარკვიოს სამუშაო ადგილზე მყოფი რამდენად მობილიზებული და საქმეზე კონცენტრირებულია. მონიტორში ჩამონტაჟებული კამერა თქვენი თვალის ბადურას აღიქვამს და თუკი რამდენიმე წუთის განმავლობაში ეკრანს არ შეხედავთ, კომპიუტერი იყვირებს, რომ ფუქსავატობთ. სწავლულების თქმით, ახალი სისტემა შეამცირებს სამუშაო ადგილებზე დასაქმებულთა მცდელობას, საქმის კეთების ნაცვლად, გაერთონ.

ჰოროსკოპი
20 ივლისი

ვერძი — ვერძებს დღეს ახალი ნაცნობობა, შეხვედრები, დისკუსიები ელით. შესაძლოა, მხარდამჭერები ახალ ნაცნობებში ნახოთ, მათი სიმპათია და ავტორიტეტული ადამიანების მფარველობა დაიმსახუროთ.

კურო — დღეს გაუთვალისწინებელი ხარჯი გელით, მაგრამ შეძლებთ სტაბილური მდგომარეობის შენარჩუნებას. მიუხედავად ამისა, მაინც ღირს შემოსავლების ახალი წყაროს ძიება. ყურადღებით იყავით და არ გამოგრჩეთ თქვენთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ტყუპები — თქვენი კონტაქტურობისა და გახსნილობის წყალობით, ადვილად მოიპოვებთ ადამიანების ნდობას. ახალი ნაცნობობა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ხელსაყრელიც იქნება. გაუმხილეთ თქვენი ჩანაფიქრი კოლეგებს და მაშინვე მიიღებთ მათგან სასარგებლო რჩევებს.

კირჩხიბი — თქვენი მონდომება დღეს ყველა წინააღმდეგობას დაძლევს და დასახულ მიზანს მიაღწევთ. წარმატება გელით არა მხოლოდ პროფესიულ საქმიანობაში, არამედ პირად ფრონტზეც. შეგიძლიათ კარდინალურად შეცვალოთ თქვენი ცხოვრება.

ლომი — ლომებს შესაძლებლობა ეძლევათ, ფინანსური მდგომარეობა გაიუმჯობესონ. მთავარია, წარმატებამ თავბრუ არ დაგახვიოთ და სიფრთხილე არ დაივიწყოთ. ნუ მიახარჯავთ ერთბაშად სრულ თანხას უსარგებლო ნივთებში. თავი ხელში აიყვანეთ და გონებას მოუსმინეთ.

ქალწული — ქალწულებს შეუძლიათ, დღეს საკუთარი პროექტები რეალობად აქციონ. თქვენი საქმიანობის ახალი მიმართულება საკმაოდ საინტერესო პერსპექტივებს დაგისახავთ.

სასწორი — სასწორებს დღეს ფინანსური სირთულე ელის. შესაძლოა, დიდი თანხა დახარჯოთ გაუთვალისწინებელ ნივთებზე ან ძველი ვალი დააბრუნოთ. სამაგიეროდ, პირად ცხოვრებაში ყველაფერი პირიქითაა — სასიამოვნო სიახლე გელოდებათ და ვითარებაც თქვენთვის სასიკეთო მიმართულებით შეიცვლება.

ღრიანკალი — თქვენი ცხოვრების ტემპი მნიშვნელოვნად აჩქარდება. ფიქრი და მოქმედება საკმაოდ სწრაფად მოგიწევთ. პროფესიულ სფეროში გარკვეული გამოცოცხლებაა. შესაძლოა, სხვა საქმით დაკავდეთ ან სხვისი მოვალეობები შეასრულოთ. მოთმინება და პატიოსნება ყველა სირთულეს გადაგალახვინებთ.

მშვილდოსანი — დღეს, შეიძლება, მოულოდნელად მატერიალური მხარდაჭერა მიიღოთ იმ წყაროდან, რომლის იმედიც საერთოდ არ გქონდათ. სასიამოვნოდ გაგაოცებთ ძველი ნაცნობიც, რომელიც ღირსეულ დახმარებას გაგიწევთ თქვენი სურვილის რეალიზებაში, მიუხედავად იმისა, რომ ის უკვე აუხდენელი ოცნება გეგონათ.

თხის რქა — დღეს სერიოზული საუბარი მოგიწევთ საყვარელ ადამიანთან, რომელიც, სხვათა შორის, მხიარულ და საიმედო ნოტზე დასრულდება. ახლა შესაფერისი დროა, დაალაგოთ ურთიერთობები ადამიანებთან, ვინც გაწყენინათ ან ვისაც აწყენინეთ.

მერწყული — მერწყულებს გრანდიოზული ღონისძიება ელით: დიდი გამოფენა, ბაზრობა ან კარგი კონცერტი. დროს კარგად გაატარებთ და ისეთ ადამიანებსაც გაიცნობთ, ვისი მხარდაჭერაც სამომავლოდ აუცილებელი იქნება.

თევზები — თევზებს შემოქმედებითი ენერგიის მოზღვავების დღე აქვთ. ნაკლებად ემოციური იყავით და მოვლენების ადეკვატურად იმოქმედეთ. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი მშვიდად აიცილოთ თავიდან.

სუდოკუ

ადვილი

		8	2					4
	4	7	8					
		1		9	5			
	2			3			7	
		3	7		4	1		
	7			2			4	
			1	4		7		
					9	6	3	
9					7	4		

სტანდარტი

3				1	9			
6	5	1	8			7		
			5					
1				2	7	6		
	3						7	
		2	6	5				8
					1			
		9			6	5	1	2
			2	8				6

რთული

	8		4					7
		9			1		6	
7		2		6				
4	2	8						
		1				3		
						6	8	4
				1		9		8
	5		3			7		
8					7		2	

ექსპერტი

				8			3	2
				9		8		
	2		6	5				
		2					8	3
3		8		7		6		4
4	6					9		
				4	8		7	
		6		2				
5	7			1				

ჰოროსკოპი
21 ივლისი

ვერძი — მიუხედავად იმისა, რომ დრო ბევრი გექნებათ, დღეს იდეების დეფიციტს განიცდით. გაითვალისწინეთ ახლობლების რჩევები, ეს ნამდვილად გამოგადგებათ. დღეს შესაძლოა, სიურპრიზიც მიიღოთ.

კურო — დღეს იმის საშიშროებაა, რომ ილუზიებსა და თქვენისავე მოგონილ ტყუილებში გაეხვიოთ, მაგრამ ამაზე არ ღირს ნერვიულობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა გაგიჭირდებათ.

ტყუპები — ეცადეთ, დღეს ისე არ მოიქცეთ, რომ მერე ბოდიშის მოხდა მოგიწიოთ. ფინანსებთან დაკავშირებით, შესაძლოა, პრობლემები შეგექმნათ. დღის მეორე ნახევარი მეგობრების წრეში გაატარეთ.

კირჩხიბი — წარმატებული დღეა საქმიანი შეხვედრებისა და მოლაპარაკებებისთვის, თუმცა ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილებების მიღებას, რადგან ამ მხრივ, არასახარბიელო დღეა.

ლომი — დღეს არის შანსი ახალი ბიზნესის წამოწყებისა. სწორი გადაწყვეტილების მისაღებადაც შესაფერისი პერიოდია. საღამოს თუ გრკვეულ დროს დასვენებას დაუთმობთ და უყელა საქმეს შეეშვებით, ამით არაფერი დაშავდება.

ქალწული — დღეს შესაძლებელი გახდება ახალი საქმიანობის დაწყება, რაც საინტერესო და პერსპექტიული აღმოჩნდება. საშუალება მოგეცემთ, უკეთ გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი. მოსალოდნელია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჰარმონია პარტნიორულ ურთიერთობებში.

სასწორი — კარგი იქნება, თუ დღეს მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმისას საკუთარ ინტუიციას დაეყრდნობით, რადგან იმ სიტუაციაში, რომელშიც აღმოჩნდებით, ძნელი იქნება მხოლოდ ლოგიკის მეშვეობით გარკვევა, თუმცა სიფრთხილე მოკავშირეებს იპოვით და მათი დახმარებით მაქსიმალურ შედეგსაც მიაღწევთ.

ღრიანკალი — დღეს კარგი განწყობა და ხასიათი საქმეშიც შეგეტყობათ და რომანტიკულ ურთიერთობაზეც აისახება. მშვენიერი დღეა ბიზნესისა და ფინანსური ოპერაციებისთვის, თუმცა ნურც დასვენებაზე იტყვით უარს.

მშვილდოსანი — დღეს მშვიდდასვენების წარუმატებლობის ხანა დასრულდება — ოჯახური პრობლემებიც მოგვარდება და სამსახურებრივიც. მხოლოდ მოვლენების დაჩქარებას ნუ ეცდებით, მშვიდად დაელოდეთ ცვლილებებს.

თხის რქა — დღეს გეჩვენებათა, რომ გარემოებათა საბედისწერო დამთხვევის წყალობით, სრულიად დაკარგეთ წონასწორობა და ორიენტაცია. დინებას მიჰყვებით და ამის გამო, ნერვიულობთ, თუმცა შექმნილი ვითარება არც ისე რთულია.

მერწყული — მერწყულებმა აქტენტი დღეს ოჯახური პრობლემების მოგვარებაზე გააკეთეთ, ახლობლების მიმართ მზრუნველობა გამოიჩინეთ... შესაძლოა, შეხვდეთ ადამიანს, რომელსაც დიდი ხანია არ ელაპარაკებით. პირველმა გადადგით ნაბიჯი შერიგებისკენ და სულიერ სიმშვიდეს იგრძნობთ.

თევზები — ნებისყოფის მოკრებისა და მაქსიმალური შრომის გარეშე, წარმატების შანსი, რომელსაც დღევანდელი დღე იძლევა, შესაძლოა, ხელიდან გაგისხლტეთ. არადა, კარგი დღეა როგორც საქმიანი, ისე პირადი ურთიერთობებისთვის. დღის მეორე ნახევარი სჯობს, ოჯახის წევრებთან ერთად, მეუღრო გარემოში გაატაროთ.

უველაზე სექსუალური სპორტსმენები დაასახელეს

ესპანურმა გამოცემამ El Mundo Deportivo თანამედროვეობის ყველაზე სექსუალური სპორტსმენი ქალების რეიტინგი შეადგინა. სიის პირველ ადგილზე ამერიკელი მოცურავე და მოდელი ამანდა ბირდი გავიდა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონი და შვიდი ოლიმპიური მედლის მფლობელია. მეორე საფეხურზე აღმოჩნდა შუბის მსროლელი და ფოტომოდელი პარაგვაიდან ლერინ ფრანკო. ტოპ-ათეულში მოხვდნენ რუსი ჩოგბურთელები მარია შარაპოვა და ანა კურნიკოვა — მათ, შესაბამისად, მესამე-მერვე ადგილები დაიკავეს. ყველაზე სექსუალური სპორტსმენების რეიტინგში შევიდნენ ასევე: ამერიკელი ჭოკით მხტომელი ელისონ სტოკი, სერფერი ლანა ბლანცარდი, აშშ-ს საფეხბურთო ნაკრების წევრები — ალექს მორგანი და ჰოუპ სოლო, ტრიატლონისტი ჰავაის კუნძულებიდან ლოკელანმი მაკმაიკლი და ტიტულოვანი სამთო მოთხილამურე ლინდსი ვონი.

მწვანე ყავა გახდომაში დაგეხმარებათ

ცნობილი გახდა ჰოლივუდის ვარსკვლავების მოხდენილი სხეულის საიდუმლო — ეს მწვანე ყავაა, რომელიც თურმე საგრძნობლად აქვეითებს მადას. აბებს მწვანე ყავის ექსტრატით ცნობილი ვარსკვლავები იღებენ — ჯენიფერ ლოპესი, კეტი პერი, დემი მური, ენ ჰეტუეი და სხვა პოპულარული მსახიობები. მწვანე ყავის ექსტრატის შემცველი აბების მწარმოებელთა განცხადებით, დაბალკალორიულ დიეტასა და ფიზიკურ ვარჯიშთან ერთად, მწვანე ყავა განსაკუთრებით ეფექტური, აბსოლუტურად უსაფრთხოა და წონაში დაკლების პროცესს აჩქარებს. მისი ერთადერთი გვერდითი მოვლენა არტერიული წნევის მატებაა, ამიტომ სპეციალისტები ჰიპერტონიით დაავადებულებს ურჩევენ, მწვანე ყავისა და მისგან დამზადებული ექსტრატების გამოყენებისას სიფრთხილე გამოიჩინონ.

ნინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

3	5	2	9	1	8	7	4	6
8	7	9	6	5	4	3	2	1
1	4	6	3	7	2	9	8	5
6	9	5	1	8	3	4	7	2
7	3	4	2	6	5	1	9	8
2	1	8	7	4	9	6	5	3
5	8	1	4	3	7	2	6	9
4	2	3	8	9	6	5	1	7
9	6	7	5	2	1	8	3	4

სტანდარტი

4	2	1	7	9	5	3	8	6
9	3	8	6	4	2	5	7	1
7	6	5	1	3	8	4	9	2
6	4	2	8	7	3	1	5	9
1	9	3	5	6	4	7	2	8
5	8	7	2	1	9	6	4	3
3	7	9	4	2	1	8	6	5
2	5	6	3	8	7	9	1	4
8	1	4	9	5	6	2	3	7

ადვილი

6	1	7	8	3	9	5	4	2
8	5	4	2	7	6	3	1	9
3	2	9	5	4	1	8	7	6
5	4	3	1	9	8	2	6	7
7	6	2	4	5	3	1	9	8
9	8	1	6	2	7	4	3	5
4	9	8	7	1	5	6	2	3
2	7	6	3	8	4	9	5	1
1	3	5	9	6	2	7	8	4

სტანდარტი

7	6	9	5	8	4	3	2	1
8	1	4	3	2	6	9	7	5
5	3	2	7	1	9	4	8	6
6	5	7	4	3	2	1	9	8
1	4	3	9	6	8	2	5	7
2	9	8	1	7	5	6	4	3
9	7	6	2	5	3	8	1	4
4	8	1	6	9	7	5	3	2
3	2	5	8	4	1	7	6	9

რთული

1	9	8	3	2	7	6	5	4
2	6	5	4	1	9	3	8	7
7	4	3	6	5	8	2	1	9
6	5	2	1	7	4	9	3	8
4	3	1	8	9	6	5	7	2
9	8	7	2	3	5	4	6	1
3	2	6	9	8	1	7	4	5
5	1	9	7	4	3	8	2	6
8	7	4	5	6	2	1	9	3

ექსპერტი

2	1	3	8	7	9	6	5	4
9	5	8	6	2	4	7	1	3
7	6	4	5	1	3	9	2	8
6	9	2	7	3	1	8	4	5
5	8	1	2	4	6	3	9	7
4	3	7	9	5	8	2	6	1
3	7	6	4	9	5	1	8	2
1	4	9	3	8	2	5	7	6
8	2	5	1	6	7	4	3	9

რთული

3	5	4	1	9	2	7	8	6
2	6	1	8	7	4	3	9	5
9	8	7	6	5	3	4	2	1
1	4	9	5	2	8	6	3	7
8	7	6	4	3	1	2	5	9
5	3	2	7	6	9	1	4	8
7	2	8	9	4	6	5	1	3
4	9	5	3	1	7	8	6	2
6	1	3	2	8	5	9	7	4

ექსპერტი

1	5	9	3	7	8	6	4	2
8	4	3	6	2	5	1	9	7
7	6	2	1	4	9	8	3	5
6	3	1	5	9	2	7	8	4
5	2	8	7	3	4	9	1	6
9	7	4	8	6	1	5	2	3
3	1	6	4	8	7	2	5	9
4	9	5	2	1	6	3	7	8
2	8	7	9	5	3	4	6	1

მე-13 გვერდი: 1. არიგატო; 2. ფოქსტროტი; 3. სიონი; 4. რეიდი; 5. რეკორდი; 6. გარანტია; 7. ტაბუ; 8. კრეოლი; 9. ამპერი; 10. სირინოზი; 11. კარიბუ; 12. ეროზია; 13. ბოიარდი; 14. მაისი; 15. ინინი; 16. „ტიპო“; 17. მარგო; 18. ილაჯი; 19. იფიგენია; 20. რენე; 21. ტრიო; 22. ტაპირი; 23. ფილე; 24. ილიონი; 25. აზია; 26. ადიდა; 27. დავით ყიფიანი; 28. დეპორტაცია; 29. სპრინტი; 30. ხმა; 31. პირანია; 32. გოჯი; 33. პოპოვი; 34. საფარი; 35. იზეო; 36. ეჯი; 37. თარსი; 38. მარკო; 39. დიახ; 40. ინა; 41. „აელიტა“; 42. ერისტიკა; 43. ფაუ; 44. დილოგია; 45. იაპონია; 46. ანეტო; 47. ავე; 48. პრიმა; 49. ფერმატა; 50. ალტერ; 51. რადონი; 52. ხელი; 53. მსხალი; 54. ნაიადა; 55. იფი; 56. ლესკო; 57. სნო; 58. ოგრი; 59. სიმფეროპოლი; 60. ტედი; 61. გოგენი; 62. ომარ; 63. ბრინჯაო; 64. მის; 65. ადანი; 66. ბრი; 67. მაო; 68. ანატოლი; 69. ანიკა; 70. რძე; 71. ფია; 72. ხანი; 73. ნაი; 74. პინკ; 75. ბრა; 76. ფაფარი; 77. ანა; 78. და; 79. მეტანია; 80. დაფა; 81. ფაი; 82. ტირანია; 83. გორიო; 84. აგრიკოლა; 85. ნირვანა.

მე-16 გვერდი: 1. ბარბუდა; 2. დინამიკა; 3. იპოქონდრია; 4. აგორა; 5. იპოთეკა; 6. სპრინტი; 7. პლასტილინი; 8. ინდი; 9. ტუნიკა; 10. კოლობოკი; 11. ჯეიჰანი; 12. ლიმნოლოგია; 13. შენგენი; 14. სარდინია; 15. ასურეთი; 16. ადამი; 17. ბოკა; 18. ოჯალეში; 19. იკაროსი; 20. ენა; 21. ირიდა; 22. ეკი; 23. ატა; 24. ადორაცია; 25. დიამანტი; 26. ჟაბო; 27. ისიდა; 28. ლუკა; 29. მადა; 30. ტერასა; 31. ნეო; 32. ჟონგლიორი; 33. ბის; 34. ორჰან; 35. ოტელო; 36. ნესი; 37. პირამიდა; 38. ირენ; 39. ორე; 40. ნაი; 41. ინგა; 42. ხვითო; 43. ირემი; 44. ლენ; 45. იონი; 46. ლჰასა; 47. ესე; 48. „ვალიო“; 49. ცოფი; 50. მარტის; 51. აგა; 52. სირო; 53. ჰაე; 54. იეტი; 55. ისარა; 56. ალოე; 57. მის; 58. სოს; 59. ბიტი; 60. ფიფა; 61. რე; 62. აარე; 63. პერი; 64. სი; 65. ბოსხი; 66. უტა; 67. ფია; 68. ფისი.

ლიბერთი ბანკი
LIBERTY BANK

PAY ექსპრესი EXPRESS-ის წესტილებში შეგიძლიათ ისარგებლოთ
შემდეგი საბანკო მომსახურებით:

კომუნალური გადასახდელების გადახდა

ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა

პენსიისა და სოციალური დახმარების წინასწარ მიღება

აგრო და მიკრო სესხების აღება

სამომხმარებლო სესხის აღება

საბანკო ანგარიშის უფასოდ გახსნა, ორმეხსაც მოჰყვება
საერთაშორისო სისტემის ბარათი

თანხის ანგარიშზე შეტანა და გატანა

ბანკომატით და თვითმომსახურების ტერმინალით 24 საათის
განმავლობაში სარგებლობა

მიიღეთ საბანკო მომსახურება თქვენს სოფელში:
სართიჭალაში, შაშიანში, გომში, ხუისში, ჭალადიდში, ხევში, მანგლისში, კოდაში, ნიგოეთში და ფოკაში

+995 32 255 55 00 www.libertybank.ge * 55 00

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.